

2025 წლის 7 მარტი

ბათუმი

პლენუმის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

ხვიჩა კიკილაშვილი – წევრი;

მანანა კობახიძე – წევრი;

ვასილ როინიშვილი – წევრი;

თეიმურაზ ტულუში – წევრი.

სხდომის მდივანი: სოფია კობახიძე.

საქმის დასახელება: ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური, თამარ ხაჟომია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: ა) №1693 კონსტიტუციურ სარჩელზე: ა.ა) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის მე-2 პუნქტისა (2024 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით; ა.ბ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებთან მიმართებით.

ბ) №1700 კონსტიტუციურ სარჩელზე: ბ.ა) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „სხვა ობიექტური გარემოება“ (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და მე-2 პუნქტის (2024 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით; ბ.ბ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებისა და მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით; ბ.გ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელები – ქეთევან მესხიშვილი და თამარ ხაჟომია; მოსარჩელე მხარის, ეკა არეშიძის, ქეთევან მესხიშვილის, მადონა მაისურაძის, მამუკა წიკლაურისა და თამარ



ხაჟომიას წარმომადგენელი – ლევან ალაფიშვილი; მოსარჩელე მხარის, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები – მარიამ არაბული, ეკა მამრიკიშვილი და მიხეილ შარაშიძე; მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – მარი დავარაშვილი, ქრისტინე კუპრავა და ლევან ღავთაძე; საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი კონსულტანტი ნათია მახათაძე.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 11 აპრილს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1693) მომართეს ეკა არეშიძემ, ქეთევან მესხიშვილმა, მადონა მაისურაძემ, მამუკა წიკლაურმა და თამარ ხაჟომიამ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 6 მაისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1700) მომართა საქართველოს სახალხო დამცველმა. №1693 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს გადმოეცა 2022 წლის 13 აპრილს, ხოლო №1700 კონსტიტუციური სარჩელი 2022 წლის 9 მაისს. №1693 და №1700 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2022 წლის 25 ნოემბერს. №1693 და №1700 კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის №3/14/1693 და №3/15/1700 საოქმო ჩანაწერებით ნაწილობრივ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. №3/15/1700 საოქმო ჩანაწერით დასახელებული ორი კონსტიტუციური სარჩელი გაერთიანდა ერთ საქმედ. №1693 და №1700 კონსტიტუციური სარჩელების არსებითი განხილვის სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2024 წლის 17, 18, 25 და 26 ივლისს.

2. №1693 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე მუხლი, 31¹ მუხლი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. №1700 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის მე-2 პუნქტი (2024 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) ადგენდა მოსამართლის თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების წესს, ხოლო ამავე მუხლის პირველი პუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) სადავო სიტყვები „სხვა ობიექტური გარემოების“ არსებობას მიიჩნევდა მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების ერთ-ერთ საფუძვლად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლი (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) განსაზღვრავდა საქმეთა განხილვისაგან მოსამართლის ჩამოცილების წესს და აწესრიგებდა ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) დისციპლინურ გადაცდომად აცხადებდა მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით.

5. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი იცავს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განამტკიცებს ყოველი ადამიანის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ხოლო მე-5 პუნქტი ჩამოთვლის დასახელებულ უფლებათა შეზღუდვის საფუძვლებს. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება იცავს საჯარო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლებას, ხოლო 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება.



6. განსახილველ საქმეზე მოსარჩელებს წარმოადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები და საქართველოს სახალხო დამცველი. მოსარჩელეთა პოზიციით, სადავო ნორმების საფუძველზე ირღვევა მოსამართლის თანამდებობის კონსტიტუციით დაცული სტანდარტებით განხორციელების უფლება, ასევე მოსამართლის აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. სადავო ნორმები აგრეთვე ლახავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.
7. მოსარჩელეთა განმარტებით, სადავოდ გამხდარი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, „სხვა ობიექტური გარემოების“ არსებობის შემთხვევაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ გადაწყვეტილება, მაშინაც კი, როდესაც მოსამართლე არ აცხადებს მივლინებაზე თანხმობას. საბჭო მოსამართლის თანხმობის გარეშე იღებს, ასევე გადაწყვეტილებას მივლინების ვადის გაგრძელების შესახებ. ამდენად, საკითხის გადაწყვეტა სრულად ექცევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასების ფარგლებში და მოსამართლეები, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ნორმა, მოკლებული არიან ყოველგვარ შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრონ ის, თუ რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მათ უფლებაში ჩარევა და ერთი სასამართლოდან მეორე სასამართლოში მივლინება. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმები არ ადგენს მივლინებას დაქვემდებარებული მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმებს, პირობებსა და წესს, არ ითვალისწინებს მოსამართლის ნებასა და ეფექტურ ჩართულობას მის მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შესაძლებელს ხდის საბჭოს სურვილით ინდივიდუალური მოსამართლის შერჩევას.
8. კონსტიტუციური სარჩელების თანახმად, მოსამართლის საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებაში ამგვარი ჩარევა ზრდის საბჭოს მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკს და ეწინააღმდეგება სამართლებრივი ნდობის პრინციპს. იგი ხელყოფს მოსამართლის სტაბილურობისა და საქმიანობაში დაუსაბუთებელი ჩარევისაგან დაცვის მოლოდინს, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი უზრუნველყოფს.
9. მოსარჩელე მხარეს ასევე სადავოდ მიაჩნია ის რეგულაცია, რომელიც შესაძლებელს ხდის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მივლინებული იქნეს რაიონულ სასამართლოში. მოსარჩელეთა მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა არსობრივად განსხვავდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობისაგან. იმავდროულად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოდან სააპელაციო სასამართლოში დანიშვნა მოსამართლის კარიერული დაწინაურებაა, რის საპირისპიროდაც, სააპელაციო სასამართლოდან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მივლინება, მისი ნების საწინააღმდეგოდ, აშკარად და უხეშად ლახავს მოსამართლის თანამდებობის არჩევისა და კარიერული თვითგანვითარების კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ უფლებას. მოსარჩელები, ასევე განმარტავენ, რომ მოსამართლეები უფლებამოსილებას სასამართლოში სხვადასხვა სპეციალიზაციის (სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული მიმართულებით) მიხედვით ახორციელებენ. მოსამართლეობის მსურველი პროფესიაში შესვლამდე თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი მიმართულებით სურს საქმიანობა, გადის სათანადო კურსს და აბარებს გამოცდას ამ სპეციალიზაციით. შესაბამისად, სპეციალიზაცია პროფესიული განვითარების საფუძველს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, მისი (სპეციალიზაციის) თავისუფლად არჩევა და მის შესაბამისად საქმიანობა, ისევე როგორც არჩევანის იძულებით შეცვლისაგან დაცვა, კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ სფეროში ექცევა. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარის განმარტებით, მოსამართლემ, რომელიც წლებია ახორციელებს უფლებამოსილებას ერთი სპეციალიზაციის მიმართულებით, შეუძლებელია, ისეთივე ხარისხის მართლმსაჯულება განახორციელოს სხვა სპეციალიზაციაში, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მისავლინებული მოსამართლის შერჩევის დროს, კრიტერიუმებისა და დასაბუთების აუცილებლობის მნიშვნელობას.
10. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის არგუმენტად მოსარჩელები ასევე მიუთითებენ, რომ ის ეწინააღმდეგება სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს და ვერ აკმაყოფილებს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. კერძოდ, ბუნდოვანია, რა იგულისხმება „სხვა ობიექტურ გარემოებაში“. მათი აზრით, მივლინების ორი საფუძველი, კერძოდ, მოსამართლის ნაკლებობა და განსახილველ საქმეთა მკვეთრი ზრდა სრულად ფარავს იმ შემთხვევებს, რამაც, შესაძლოა, მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების აუცილებლობა განაპირობოს. მოსარჩელე მხარის პოზიციით, მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმების არარსებობა აღნიშნულ ბუნდოვან საფუძველთან კორელაციაში ქმნის ნოყიერ ნიადაგს იმისათვის, რომ მოსამართლის მივლინება იქცეს ერთგვარ სადამსჯელო იარაღად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს მომეტებულ საფრთხეს ინდივიდუალური



მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის წინააღმდეგ. მოსარჩელეთა განმარტებით, მართალია, სადავო ნორმა არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამდგენ რეგულაციას, თუმცა უფლებებში ჩარევის ინტენსივობის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმისათვის წაყენებული განჭვრეტადობის სტანდარტებით. ამდენად, განსაზღვრულობის პრინციპის დაუცველობით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დადგენილი ფორმალური მოთხოვნა.

11. გარდა ამისა, მოსარჩელეთა განცხადებით, მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ ევალება მივლინების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება, რითაც მოსამართლეს ერთმევა შესაძლებლობა, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შედეგად კი ილუზორული ხდება კანონით გათვალისწინებული ერთჯერადი გასაჩივრების მექანიზმიც.

12. №1700 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მივლინების არსებული მექანიზმის მომწესრიგებელი სადავო ნორმები, შესაბამისი გარანტიების არარსებობის პირობებში, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსამართლის დამოუკიდებლობას. უშუალოდ მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დარღვევით კი სადავო ნორმა ზღუდავს ნებისმიერი პირის უფლებას, საკუთარი უფლებები და თავისუფლებები დაიცვას დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე, რითაც იგი ეწინააღმდეგება, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

13. №1693 კონსტიტუციური სარჩელის ავტორებს არაკონსტიტუციურად მიაჩნიათ, აგრეთვე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით. სადავო ნორმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განუსაზღვრავდა უფლებამოსილებას, წარდგინებით მიემართა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისათვის რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შემთხვევაში.

14. მოსარჩელე მხარის განმარტებით, მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური დევნის ფაქტი, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შედეგით დასრულდება იგი, არ წარმოადგენს საკმარის ლეგიტიმურ საფუძველს საჯარო საქმიანობის განხორციელების უფლებაში მსგავსი ფორმით ჩარევის გასამართლებლად. გარდა ამისა, მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებაში ისეთი ინტენსიური ფორმით ჩარევა, როგორიცაა საქმეთა განხილვისგან მისი ჩამოცილება, დაუშვებელია ისეთი სტანდარტით, რომელიც გულისხმობს გონივრულ ვარაუდს, რომ თანამდებობაზე დარჩენით, მოსამართლე ხელს შეუშლის დისციპლინურ სამართალწარმოებას ან/და დისციპლინური გადაცდომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, ან/და განაგრძობს სამუშაო დისციპლინის დარღვევას. მოსამართლის ჩამოცილება საქმეთა განხილვისგან იმ გონივრული ვარაუდის საფუძველზე, რომ იგი ხელს შეუშლის დისციპლინურ სამართალწარმოებას ან/და დისციპლინური გადაცდომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, ან/და განაგრძობს სამუშაო დისციპლინის დარღვევას, განუჭვრეტელთან ერთად, წარმოადგენს არააუცილებელ და არაპროპორციულ ჩარევას საჯარო თანამდებობის განხორციელების უფლებაში.

15. თავის მხრივ, №1700 კონსტიტუციური სარჩელის ავტორები სადავოდ ხდიან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებისა და მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

16. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმა დაუშვებლად აცხადებს საქმეთა განხილვისაგან მოსამართლის ჩამოცილების შესახებ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გასაჩივრების ვადის გაგრძელებას მაშინაც კი, თუ არსებობს მოსამართლის მხრიდან ამ ვადის გაშვების საპატიო მიზეზი ან/და რაიმე ობიექტური გარემოება. ამავდროულად, სადავო ნორმა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას ანიჭებს უფლებამოსილებას, საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობა კი არ აბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს იგი განპირობებული.



17. მოსარჩელე მხარის მითითებით, სამართალწარმოება, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეჩერებას საქმის ზეპირი მოსმენისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების სათანადო გარანტიების გარეშე, არათანაზომიერად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.
18. კონსტიტუციური სარჩელის ავტორები სადავოდ ხდიან აგრეთვე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას, რომელიც დისციპლინურ გადაცდომად აცხადებდა მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით.
19. მოსარჩელე მხარის განმარტებით, ბუნდოვანია როგორც გასაჩივრებული ნორმის შინაარსი, ასევე მისი მოქმედების ფარგლები და, ამდენად იგი არ აკმაყოფილებს კანონის ხარისხის მოთხოვნებს. მოსარჩელის აზრით, შეუძლებელია სადავო ნორმით დადგენილი ცნების „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის“ ერთგვაროვანი განმარტება და მისი ფარგლების დადგენა. კანონმდებლობა არ იძლევა ამ ცნების განმარტების შესაძლებლობას, რითაც, ფაქტობრივად, გამოხატვის შინაარსობრივ რეგულირებას ანდობს უშუალოდ სამართალშემფარდებელს. ამავდროულად, „პოლიტიკური ნეიტრალიტეტი“ იმდენად ზოგადი და ბუნდოვანი ტერმინია, რომ სადავო ნორმით დადგენილი აკრძალვა შესაძლოა მიემართებოდეს ნებისმიერ იმ საკითხზე მოსაზრების დაფიქსირებას, რომელსაც პოლიტიკური განზომილება გააჩნია და რომელზეც გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარეობს ან მიმდინარეობდა სოციალური დისკურსი. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრების შიშით, მსგავსი საკანონმდებლო დანაწესის პირობებში, მოსამართლეებს პრაქტიკულად მოუწევთ თავი შეიკავონ ნებისმიერ ისეთ თემაზე მოსაზრებების გამოთქმისგან, რომელიც საზოგადოების დისკუსიის საგანს წარმოადგენს.
20. მართალია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დროთა განმავლობაში შეიძლება განავითაროს კრიტერიუმები, რომლებითაც იხელმძღვანელებს „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის“ პრინციპის დარღვევის იდენტიფიცირებისთვის, თუმცა აღნიშნული ვერ დააზღვევს ვერც ე.წ. „მსუსხავ ეფექტს“ და ვერც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკებს.
21. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ნორმა ვერ აკმაყოფილებს კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებს, აქვს მსუსხავი ეფექტი და გაუმართლებლად ლახავს მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას, რითაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტებით დაცულ კონსტიტუციურ გარანტიებს.
22. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელე მხარემ №1700 კონსტიტუციურ სარჩელზე შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა. კერძოდ, კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებიდან საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე სადავო ნორმებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი სადავოდ აღარ ხდის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის პირველი წინადადებისა და მე-7 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობას. №1693 კონსტიტუციური სარჩელის ავტორებს სასარჩელო მოთხოვნა არ შეუმცირებიათ.
23. მოსარჩელე მხარეებმა განმარტეს, რომ ცვლილებები, უმეტესწილად იყო ფორმალური ხასიათის, სადავო ნორმები კვლავაც იმეორებს გასაჩივრებული ნორმების შინაარსს და წარმოშობს იმ პრობლემებს, რომელთა გამოც მათ მომართეს საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარემ დააფიქსირა ინტერესი, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სამართალწარმოება გააგრძელოს სადავო ნორმების საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებულ, საქმის არსებითი განხილვის დროს მოქმედ რედაქციასთან მიმართებით. ამ კუთხით გამონაკლისს წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია). №1693 კონსტიტუციური სარჩელის ავტორების განმარტებით, მართალია, საქმის არსებითი განხილვის მომენტისათვის დასახელებული ნორმა გაუქმებულია და კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს



მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლით მათი უფლებამოსილების შეჩერებასა და საქმეთა განხილვისგან ჩამოცილებას, თუმცა აღნიშნული ნორმა მოქმედებდა გარკვეული დროის განმავლობაში და ქმნიდა ძალიან ცუდ პრეცედენტს მოსამართლეთა სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების შეზღუდვის კუთხით, რის გამოც უპრიანი იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან დასახელებული ნორმის გასაჩივრებული რედაქციის შეფასება და შესაბამისი კონსტიტუციური სტანდარტების დადგენა მსგავსი მექანიზმის შემუშავებით მომავალში უფლების დარღვევის პრევენციის მიზნით.

24. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოსარჩელე მხარემ განმარტა, რომ სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში, კერძოდ, 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მოსამართლის მივლინებისა და საქმეთა განხილვისგან მათი ჩამოცილების წესი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. აღნიშნულ რეფორმას მხარი დაუჭირა საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის, ვენეციის კომისიამ. მიუხედავად ამისა, 2021 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და მისი საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფის კუთხით, მნიშვნელოვნად გაუარესდა მოსამართლის მივლინებისა და საქმეთა განხილვისგან მათი ჩამოცილების წესი. შეიზღუდა, აგრეთვე მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები. მოსარჩელე მხარისათვის გაუგებარია, რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა და რა ობიექტური საჭიროებით იყო განპირობებული უშუალოდ მოსამართლეთა კორპუსისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოწონებული კანონმდებლობის ცვლილება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განსახილველი საკითხების ირგვლივ დღემდე არ არსებობს პრაქტიკა, რასაც შეეძლო გამოეყენებინა კანონმდებლობის ესა თუ ის ხარვეზი.

25. მოსარჩელე მხარის განმარტებით, მოსამართლედ განწესების დროს პირი, საკუთარი ოჯახური მდგომარეობის, აკადემიური საქმიანობისა და მრავალი კერძო ინტერესის გათვალისწინებით, თავად ირჩევს საქმიანობის განხორციელების ადგილს. მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი სხვა სასამართლოში მივლინება კი წარმოადგენს მოსამართლის საქმიანობაში ინტენსიურ ჩარევას, რასაც ადასტურებს მივლინების ინსტიტუტის გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოს მწარე ისტორიული გამოცდილება. სწორედ ამიტომ, მივლინების მექანიზმის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ავალდებულებდა მისავლინებელი მოსამართლის შერჩევის პროცესში გათვალისწინებინა მთელი რიგი კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფდა ამ მექანიზმის მაქსიმალური სიფრთხილით გამოყენებას. ამასთანავე, კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავდა მივლინების საფუძვლებს, ითვალისწინებდა ინდივიდუალური მოსამართლის საჭიროებებს, აძლევდა მას უფლებას, დაეფიქსირებინა პოზიცია სხვა სასამართლოში მისი გადაყვანის შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე. მივლინების ხანგრძლივობა იყო ბევრად ნაკლები. დაუშვებელი იყო სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მივლინება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

26. ამდენად, მოსარჩელის აზრით, მივლინების მექანიზმი მოწესრიგებული იყო კანონმდებლობით იმგვარად, რომ, ერთი მხრივ, მინიმალურად იზღუდებოდა მოსამართლის კერძო ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, არ რჩებოდა სივრცე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან შეცდომის დაშვების ან/და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დაუსაბუთებელი ან/და მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღებისათვის. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ დღეს მოქმედი რედაქციით ეს ყოველივე შეცვლილია მოსამართლის უფლებრივი მდგომარეობის საუარესოდ. თანხმობის გარეშე მივლინების არსებული მექანიზმი არღვევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი ნდობის, ისევე, როგორც მოსამართლის ადგილმონაცვლეობის დაუშვებლობის პრინციპს, მუდმივ წნეხში ამყოფებს მოსამართლეს, რითაც გავლენა აქვს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. მისი აზრით, საბოლოო ჯამში, მივლინების არსებული მოწესრიგება სერიოზულად არღვევს მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლებას.

27. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევასთან მიმართებით, მოსარჩელე მხარემ განმარტა, რომ მოსამართლის თანამდებობა და როლი თავისთავად გულისხმობს გარკვეულ თვითშეზღუდვას გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლეს სრულიად ეზღუდება აზრის დაფიქსირება იმ საკითხებზე, რაც საზოგადოებრივი დისკუსიის საგანს წარმოადგენს. მეტიც, იმ საკითხებზე აზრის გამოთქმაც კი, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური ელემენტებით ხასიათდება, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, ექცეოდეს მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, მთავარია, თავისი გამოხატვით მოსამართლე არ არღვევდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს და საფრთხეს არ უქმნიდეს სასამართლოს ავტორიტეტს.



28. მოსარჩელე მხარის პოზიციით, სამოსამართლო ეთიკის წესები და არსებული საკანონმდებლო რეგულაციები სრულიად საკმარისია მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლების დასადგენად, ისე რომ უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულების ინტერესები. მათ შორისაა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტი, რომელიც დისციპლინურ გადაცდომად აცხადებს პარტიული ნეიტრალიტეტის დარღვევასა და პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვას. მოსარჩელის პოზიციით, ამ პირობებში ისეთი ბუნდოვანი ცნების შემოტანა, როგორიცაა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა და მისი დისციპლინურ გადაცდომად გამოცხადება არ ემსახურება რაიმე ლეგიტიმურ მიზანს, ვერ პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას და მოსამართლეს, ფაქტობრივად, სრულად უკრძალავს აზრის დაფიქსირებით სოციალურ დებატებში მონაწილეობის მიღებას.

29. მოსარჩელეთა განცხადებით, სადავო ნორმის ბუნდოვანება კიდევ უფრო გამოიკვეთა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. კერძოდ, მოპასუხე მხარემ ვერ დაასაბუთა, რა იგულისხმა კანონმდებელმა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტში. აღნიშნული არც შესაბამისი კანონის განმარტებით ბარათშია ახსნილი. იმ ტერმინებმა, რომლებიც ბოლოდროინდელი ცვლილებებით დაემატა სადავო ნორმას, არათუ ნათელი მოჰვინა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებს, არამედ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა იგი და დაავიწროვა, მათ შორის, იმ საკითხებშიც, რომლებიც უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას. ამ მოცემულობით, მოსამართლისათვის პრაქტიკულად წარმოუდგენელია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა ჩაითვლება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევად. შესაბამისად, აზრის დაფიქსირებისას, მოსამართლე ყოველ ჯერზე მთლიანად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებას არის მიწოდებული, რომელსაც ასევე არ აქვს საკანონმდებლო კრიტერიუმები ამ ტერმინების კონსტიტუციურ მოთხოვნათა დაცვით განმარტებისთვის.

30. საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მოსარჩელე მხარე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაზე. ასევე იშველიებს საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს.

31. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განიხილოს სადავო ნორმების კონსტიტუციურობა არა დღეს მოქმედი, არამედ შესაბამისი საოქმო ჩანაწერების მიღების მომენტისათვის არსებული რედაქციით. ამავდროულად, მოპასუხე მხარეს მიაჩნია, რომ სადავო ნორმების როგორც შესაბამისი საოქმო ჩანაწერების მიღების მომენტში არსებული, ისე დღეს მოქმედი რედაქციები, სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

32. ასევე მოპასუხე მხარის განცხადებით, იგი არ გაამახვილებს ყურადღებას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის პირველი წინადადებისა და მე-7 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელე მხარემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ ნორმებთან მიმართებით, სადავო საფუძვლით მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების ინსტიტუტის გაუქმების გამო.

33. მოპასუხის პოზიციით, კანონმდებლის მხრიდან სადავო ნორმებში ცვლილებების განხორციელება განაპირობა საკანონმდებლო დონეზე მათი დახვეწისა და იმ ინსტიტუტების უფრო ეფექტიანად ჩამოყალიბების მიზანმა, რომლებსაც ეს ნორმები აწესრიგებს.

34. მოპასუხის განმარტებით, მოსამართლის მივლინება არ იწვევს საჯარო საქმიანობის იმგვარად შეზღუდვას, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს მოსარჩელე მხარე. მივლინების შემთხვევაში, მოსამართლე კვლავაც სრულფასოვნად ასრულებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, უნარჩუნდება ხელფასი, ეძლევა დანამატი და სარგებლობს ყველა სოციალური გარანტიით. ამავდროულად, მივლინება ემსახურება ისეთი მნიშვნელოვანი საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, როგორიცაა მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება, შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყოველ ჯერზე ვალდებულია დაასაბუთოს ამ მიზნის არსებობა და მივლინების, ისევე, როგორც შემდგომში მივლინების გაგრძელების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, მივლინება არის დროებითი ხასიათის ღონისძიება, რომელიც სრულდება მივლინების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე. მივლინებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მოსამართლის დისკომფორტი პირად და ოჯახურ ურთიერთობებში, თუმცა



მსგავსი შეზღუდვის შემხვედრი უფლება არ არის საჯარო სამსახურის შეუფერხებელი განხორციელების უფლება. რაც შეეხება სპეციალიზაციას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სკოლაში მოსამართლეების მომზადება მიმდინარეობს ყველა სპეციალიზაციის მიმართულებით, შესაბამისად, ივარაუდება, რომ მოსამართლეს აქვს საკმარისი ცოდნა და უნარები, ნებისმიერი ტიპის დავის გადასაწყვეტად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მივლინება სხვა სასამართლოში ვერც მოხდება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ვერ მიიღწევა კანონით გათვალისწინებული მიზანი.

35. მოპასუხის განმარტებით, მოსამართლის მივლინების ორი არსებული საფუძველი, კერძოდ, მოსამართლის ნაკლებობა და განსახილველ საქმეთა მკვეთრი ზრდა სრულად ვერ ფარავდა ყველა იმ შემთხვევას, რომელთა დროსაც მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება იყო საჭირო. სწორედ ამ მოცემულობამ განაპირობა მივლინების საფუძველად „სხვა ობიექტური გარემოების“ დამატება. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება, მაგალითად, სიტუაცია, როდესაც სასამართლოში, სადაც მხოლოდ ერთი მოსამართლეა, განიხილება სისხლის სამართლის საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით და აუცილებელია სათანადო მოსამართლის დანიშვნა, როდესაც მოსამართლე სარგებლობს კუთვნილი შვებულებით ან როდესაც პირველი ინსტანციის მოსამართლე ინიშნება სააპელაციო სასამართლოში, თუმცა მას დარჩენილი აქვს გადასაწყვეტი საქმეები პირველ ინსტანციაში. ნებისმიერ შემთხვევაში, „სხვა ობიექტური გარემოება“ ვერ იქნება ფართოდ განმარტებული, რადგან იგი ყოველ ჯერზე დაკავშირებული უნდა იყოს მართლმსაჯულების ინტერესებთან.

36. მოპასუხის განმარტებით, წინამდებარე კონსტიტუციურ სარჩელებში გამოთქმული შიშები ატარებს ჰიპოთეტურ ხასიათს. სადავო ნორმების მსგავსი შინაარსით გამოყენების პრაქტიკა არ არსებობს და ვერც იარსებებს, ვინაიდან კანონმდებლობა ითვალისწინებს საკმარის გარანტიებს, რათა მივლინება არ იქცეს მოსამართლეთა დასჯის იარაღად. ამ გარანტიებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებას თანხმობის გარეშე მივლინების შესახებ კოლეგიურად იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც წარმოადგენს კონსტიტუციურ ორგანოს, ძირითადად დაკომპლექტებულია მოსამართლე წევრებით და სარგებლობს მაღალი ლეგიტიმაციის ხარისხით. იგი ვალდებულია და მისსავე ინტერესებშია იზრუნოს როგორც მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე, ისე თითოეული მოსამართლის კერძო საჭიროებებზე, რომელთა სათანადოდ გარანტირება, საბოლოო ჯამში, კვლავაც მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას ემსახურება.

37. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც ორგანული კანონით, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ვალდებულია მოსამართლის მივლინების თაობაზე მიიღოს ფორმალურად და მატერიალურად დასაბუთებული გადაწყვეტილება. მივლინების დროს ისეთი კრიტერიუმები, როგორებიც იყო მოსამართლეთა შერჩევა რეზერვიდან, ტერიტორიულობის პრინციპის ან/და წილისყრის საფუძველზე არ იყო ეფექტიანი და, შესაძლოა, წარმოეშვა გარკვეული ხარვეზები. მათი გაუქმებით მივლინების მექანიზმი გახდა უფრო მოქნილი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ კრიტერიუმებს, ისევე როგორც მოსამართლის კერძო ინტერესებსა და პირად საჭიროებებს, არ მიიღებს მხედველობაში გადაწყვეტილების მიღებისას. საპირისპირო დაშვების შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ დაასაბუთებს კონკრეტული კანდიდატის შესაბამისობას მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების მიზანთან. ამავდროულად, კანონმდებლობა ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, რაც დამატებით აზღვევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან შეცდომის დაშვების ან/და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს.

38. მოპასუხის განცხადებით, მივლინების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი ყველა შემთხვევაში ერთნაირია და არ აქვს მნიშვნელობა, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის გადაყვანა ხდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში თუ პირიქით. ამავდროულად, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის გადაყვანა საქალაქო (რაიონულ) სასამართლოში შესაძლოა ობიექტური გარემოებით იყოს განპირობებული. მაგალითად, როდესაც რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ინიშნება სააპელაციო სასამართლოში, მას შესაძლოა ჰქონდეს დასამთავრებელი საქმეები, რისთვისაც, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყოს მისი მივლინებით დაბრუნება საქალაქო (რაიონულ) სასამართლოში საქმეების დასრულების მიზნით.

39. მოპასუხის განმარტებით, მოსამართლის საქმეთაგან დროებითი ჩამოცილების მექანიზმის ზოგადი მიზანია მართლმსაჯულების ინტეგრირების დაცვა. რაც შეეხება გასაჩივრების ვადებს, ისინი სრულიად



საკმარისია გასაჩივრების უფლებით სრულყოფილად სარგებლობისათვის. მოცემულ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ საჩივრის განხილვა, როგორც წესი, არ საჭიროებს რაიმე დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევას, შესაბამისად, კონსტიტუციის მოთხოვნა ვერ იქნება ყოველ ჯერზე საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა.

40. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევის დისციპლინურ გადაცდომად დაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით, მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ სადავო ნორმის ლეგიტიმური მიზანი არის სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა. ამ ნორმის შემოღება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტი ეხება მხოლოდ პარტიებთან და საარჩევნო სუბიექტებთან დაკავშირებულ აქტიურ პოლიტიკურ საკითხებს და, შესაბამისად, დამოუკიდებლად ვერ ფარავს ყველა იმ შემთხვევას, რომლებიც შესაძლოა ჩაითვალოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევად.

41. მართალია, ტერმინი „პოლიტიკური ნეიტრალიტეტი“ არის ზოგადი ხასიათის, თუმცა ეს დასაშვებია საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე. მისი მათემატიკური სიზუსტით წინასწარ განმარტება შეუძლებელია და სადავო ნორმის მსგავსი ფორმულირება სრულად შეესაბამება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. დაირღვა თუ არა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური გარემოებების შეჯერების შედეგად უნდა გადაწყდეს. თეორიულად ყველაფერმა, მათ შორის, ერთი შეხედვით უწყინარმა ფრაზამ, განმარტებამ, სიმღერის სოციალურ ქსელში გაზიარებამ და ნებისმიერმა სხვა მოქმედებამ შეიძლება, დაარღვიოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, გამოხატვის ფორმის, დროის, კონტექსტის, უშუალოდ მოსამართლის სტატუსისა და სხვა თანმხლები გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, პოლიტიკოსის მიერ დაწერილ პოსტზე, რომელშიც იგი აქებს სასამართლო რეფორმას, მოსამართლის მხრიდან რეაქციის გამოხატვამ, გონიერი დამკვირვებლის თვალში, შესაძლოა, გააჩინოს მოსამართლის მიკერძოებისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევის რისკები. მოსამართლეს შეუძლია გამოთქვას კრიტიკა მის საცხოვრებელ სახლთან გზის მოუწყვსრიგებლობის გამო ან სპორტის რომელიმე სახეობაში ეროვნული ნაკრების მდგომარეობაზე, თუმცა, ამის პარალელურად, მუნიციპალიტეტის მერიის ან რომელიმე სამინისტროს კრიტიკა აღქმული იქნეს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევად.

42. ნებისმიერ ეროვნულ თუ საერთაშორისო საკითხზე, რომელიც რაიმე ფორმით უკავშირდება პოლიტიკური დისკუსიის თემას, მოსამართლის მხრიდან აზრის საჯაროდ დაფიქსირებამ შესაძლოა დაარღვიოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი. ამ ტერმინის გარკვეული განმარტებებით დავიწროების შემთხვევაში, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა ვედარ მოემსახურება დასახელებული ლეგიტიმური მიზნის სრულყოფილად განმტკიცებას, კერძოდ, ვედარ მოიცავს გამოხატვის ყველა ფორმასა და შემთხვევას, სადაც მოსამართლე პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით, საფრთხეს შეუქმნის საზოგადოების თვალში სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.

43. ამავდროულად, სადავო ტერმინის ზოგადი ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე წინასწარ ვერ განჭვრეტს, დაარღვევს თუ არა მისი გამოხატვის ფორმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს. ამისათვის მან უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლეთა ეთიკის კოდექსით, ასევე საერთაშორისო სასამართლებრივი აქტებით, სადაც დარეგულირებულია მოსამართლის გამოხატვა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კონტექსტში. ამასთანავე, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა ყოველთვის უნდა განიმარტოს მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევასთან ერთობლიობაში. სხვა სიტყვებით, მოსამართლის გამოხატვა, რომელიც არღვევს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს, დისციპლინურ გადაცდომად რომ დაკვალიფიცირდეს, იგი უნდა აისახოს შედეგში, კერძოდ, მან უნდა დაარღვიოს მიუკერძოებლობის პრინციპი, ვინაიდან სწორედ სასამართლოს მიუკერძოებლობის დაცვა და მისი ასეთად აღქმა საზოგადოების მიერ არის ის ინტერესი და მიზანი, რომლის დაცვასაც ემსახურება სადავო ნორმა.

44. მოპასუხის განმარტებით, სასამართლო რეფორმის შესახებ, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების თაობაზე ან/და სამართლის განვითარების სხვა საკითხზე, მოსამართლეს აქვს მხოლოდ მეცნიერული ან/და ანალიტიკური მსჯელობის გზით გამოხატვის უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ საკითხებთან მიმართებით, მოსამართლემ არ უნდა გამოხატოს მხოლოდ თანხმობა ან მოწონება, მან საკუთარი აზრი უნდა განავრცოს და ჩამოაყალიბოს შინაარსობრივად, რათა



საზოგადოებაში არ შეიქმნას შთაბეჭდილება მისი მიკერძოებულობის შესახებ. მოსამართლემ საზოგადოებას უნდა დაანახოს, რომ იგი დაინტერესებულია დისკუსიის საგნის შინაარსობრივი განხილვით და არა საკითხზე უბრალოდ პოზიციის დაფიქსირებით და რომელიმე მხარის მიმხრობით. ამავდროულად, მართლმსაჯულების ირგვლივ მეცნიერულ-ანალიტიკური დისკუსიის შემთხვევაშიც, მოსამართლემ მსჯელობა თვითშეზღუდვის დაცვით უნდა წარმართოს, რათა არ დაარღვიოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი.

45. მოპასუხის განცხადებით, სადავო ნორმაში გამოყენებულ ტერმინს არ აქვს მსუსხავი ეფექტი. სადავო ნორმით დადგენილია მოსამართლეების გამოხატვის თავისუფლების გონივრული თვითშეზღუდვა, რაც მოსამართლის პროფესიისთვის იმანენტური მოცემულობაა. მეტიც, სადავო ნორმით დადგენილ შეზღუდვას ისედაც ითვალისწინებს მოსამართლეთა ეთიკის წესები, რომელთა შესრულება სავალდებულოა მოსამართლეებისათვის. გარდა ამისა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევის მოტივით დისციპლინური დევნის ბოროტად გამოყენებას აზღვევს მთელი რიგი პროცედურული გარანტიები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გარანტი არის, აგრეთვე ის მოცემულობა, რომ ამ ორგანოს უმრავლესობას შეადგენენ მოსამართლეები. შესაბამისად, ისინი არ შექმნიან ისეთ პრეცედენტებს, რომლებმაც მომავალში შესაძლოა, დაუსაბუთებლად შეზღუდოს მათი გამოხატვის თავისუფლება.

46. საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მოპასუხე მხარე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე. ასევე, საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებზე.

47. საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, №1693,1700 კონსტიტუციური სარჩელების არსებითი განხილვის სხდომაზე მოწვეული იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი კონსულტანტი ნათია მახათაძე.

48. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის პოზიციით, სადავო ნორმები სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს და საბჭოს მხრიდან ამ ნორმებით მოწესრიგებული მექანიზმების საფუძველზე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკი არ არსებობს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის მართლმსაჯულების ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სუბიექტი და მის მიერ მიღებული თითოეული გადაწყვეტილება ნაკარნახევიანაა მართლმსაჯულების ეფექტიანობისა და საზოგადოებაში სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლების მოტივით. ამავდროულად, ორგანული კანონი საბჭოს ავალდებულებს მისი ყველა გადაწყვეტილების დასაბუთებას.

49. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის განცხადებით, იუსტიციის საბჭოს პრაქტიკაში სადავო ნორმებით დადგენილი მექანიზმების გამოყენების შემთხვევები, როგორცაა მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი სხვა სასამართლოში მივლინება, მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან ან მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება პოლიტიკური ან პარტიული ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევის გამო, საქმის არსებითი განხილვის მომენტის დროისათვის არ დაფიქსირებულა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ დამდგარა, აგრეთვე ისეთი ფაქტის წინაშე, როდესაც მას მოუწევდა მივლინების მსურველ რამდენიმე პირთაგან რომელიმეს არჩევა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის განცხადებით, საბჭოს სხდომაზე არ გატანილა სადავო ნორმებში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი და მისთვის არ არის ცნობილი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა კომუნიკაცია ამ ცვლილებების თაობაზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და კანონმდებელს შორის.

50. მართალია, მოქმედი კანონმდებლობით საბჭო არ არის ვალდებული, მისავლინებელი მოსამართლის შერჩევის პროცესში, გაითვალისწინოს მოსამართლის კერძო ინტერესები და ის კრიტერიუმები, რომლებიც სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში იყო გათვალისწინებული, თუმცა პრაქტიკაში ყურადღება ექცევა მოსამართლის საცხოვრებელს და მის კერძო ინტერესებს, ასევე მოსამართლის სპეციალიზაციასა და სხვა ინდივიდუალურ გარემოებებს. ამავდროულად, საბჭოს რეგლამენტით, უშუალოდ მოსამართლესაც აქვს უფლება მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და წარუდგინოს თავისი მოსაზრება სხვა სასამართლოში მივლინებასთან დაკავშირებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავად ვერ დაადგენს მივლინების დროს გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს, ვინაიდან კანონმდებლისაგან ასეთი უფლებამოსილების დელეგირება საბჭოზე არ მომხდარა.



51. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის პოზიციით, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის შემოტანით, კანონმდებელი, ერთი მხრივ, ეცადა ორგანულ კანონში მოეხდინა სამოსამართლო ეთიკის შესაბამისი წესების ინტეგრირება, რომელთა დარღვევაც მოქმედი კანონმდებლობით აღარ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, ხოლო, მეორე მხრივ, მან ამით დაავიწროვა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის შინაარსი. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს „პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვა“. ეს ტერმინი იძლევა ძალიან ფართო განმარტების და ნებისმიერი აქტუალური თემის დაფარვის შესაძლებლობას. ამავდროულად, მასში შესაძლოა, მოაზრებულებიყოს, მათ შორის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით პოლიტიკური შეხედულების გამოხატვა. სადავო ნორმის მოქმედების პირობებში კი, ასეთი გამოხატვა აღარ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, სადავო ნორმით გაფართოვდა მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები.

52. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უშუალოდ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის განმარტებისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სავარაუდოდ, დაეყრდნობა სამოსამართლო ეთიკის წესებს, ვინაიდან სადავო ნორმა მეტ-ნაკლებად იმეორებს ამ წესებში გადმოცემულ შინაარსს.

53. №1693 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, შპს „თავისუფალმა უნივერსიტეტმა“ წარმოადგინა სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება, რომელშიც შედარებითსამართლებრივ ჭრილში განხილულია მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის ფარგლები და თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინებასთან დაკავშირებული ასპექტები.

54. სასამართლოს მეგობრის პოზიციით, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და, ზოგადად, პოლიტიკა წარმოადგენს ფართო და ყოვლისმომცველი შინაარსის ტერმინებს. შესაბამისად, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევის დისციპლინურ გადაცდომად დაკვალიფიცირების შემთხვევაში, იმისათვის, რომ დაცული იყოს სამართლიანი ბალანსი მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების უფლების გარანტირებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნების ლეგიტიმურ მიზანს შორის, აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განიმარტოს, რა იგულისხმება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევაში. საქართველოს კანონმდებლობა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის განმარტებას არ ითვალისწინებს და არც მისი შინაარსის დადგენის სხვა რაიმე გონივრულ შესაძლებლობას ადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხოვნებს, აქვს „მსუსხავი ეფექტი“ მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებაზე და იმაზე მეტად ზღუდავს ამ უფლებას, ვიდრე ეს დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად არის საჭირო.

55. თანხმობის გარეშე მივლინებასთან დაკავშირებით, სასამართლოს მეგობარი განმარტავს, რომ მივლინების საფუძველების დაკონკრეტების, მოსამართლეთა შერჩევის შესაბამისი კრიტერიუმებისა და სათანადო პროცედურული გარანტიების არარსებობის პირობებში, მივლინების არსებული მექანიზმი იძლევა მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას და არღვევს მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უფლებას.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. სადავო ნორმებში განხორციელებული ცვლილებები

1. მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის: 37¹ მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „სხვა ობიექტური გარემოება“ (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და მე-2 პუნქტის (2024 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით; 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით; 45-ე მუხლის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებისა და მე-6 პუნქტის „გ“



ქვეპუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით და 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ, მე-2 და მე-5 პუნქტებთან მიმართებით.

2. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ ხსენებული ნორმების საფუძველზე მოწესრიგებული თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების წესი, დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველზე, მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების მექანიზმი, აგრეთვე ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გასაჩივრების პროცედურები არ არის თანხვედრაში საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან. გარდა ამისა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევის დისციპლინურ გადაცდომად შემოღებით, გაუმართლებლად იზღუდება მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები.

3. საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდგომ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2023 წლის 13 ივნისის №3129-XIმს-Xმპ და 2024 წლის 29 მაისის №4218-XIVმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონების საფუძველზე, გასაჩივრებული ნორმები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

4. მოსარჩელე მხარის პოზიციით, დასახელებული ცვლილებები უმეტესწილად იყო ფორმალური ხასიათის. ამ ცვლილებებით კანონმდებელმა არათუ გააუქმა მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი რეგულაციები, არამედ მათში გარკვეული დამატებების შეტანით, შეეცადა სადავო ნორმებიდან მომდინარე შეზღუდვების შემსუბუქებას და ამ ნორმების გაკეთილშობილებას, თუმცა, რეალურად, ცვლილებების შედეგად მიღებული ნორმატიული წესრიგის პირობებში, მოქმედი რეგულაციები კვლავ იმეორებს სადავოდ გამხდარ სამართლებრივ პრობლემებს და ისეთივე სიმკაცრით ზღუდავს მოსამართლეთა უფლებებს, როგორც ეს ხდებოდა ცვლილებებამდე პერიოდში. შედეგად, ცვლილებების შემდგომ, მათი უფლებრივი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

5. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარემ, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, უფლებების ეფექტურად დაცვის მოტივით, მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის მოდიფიცირება და არა ძალადაკარგული, არამედ ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული, მოქმედი სადავო ნორმების კონსტიტუციურობაზე მსჯელობა.

6. გამონაკლისის წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია). აღნიშნული ნორმა ითვალისწინებდა დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველზე, მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესაძლებლობას. დასახელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული ნორმა და, შესაბამისად, მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების სადავო საფუძველი სრულიად გაუქმდა. მიუხედავად ამისა, №1693 კონსტიტუციური სარჩელის ავტორები საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ითხოვენ ძალადაკარგულ ნორმაზე მსჯელობას და სადავო საკითხთან მიმართებით შესაბამისი კონსტიტუციური სტანდარტების ჩამოყალიბებას მომავალში უფლების შესაძლო დარღვევის პრევენციის მიზნით.

7. სადავო ნორმებში განხორციელებული ცვლილებების ანალიზისა და საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციებიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გარდა, არსებითად განსახილველად მიღებული და ცვლილებების შემდგომ ჩამოყალიბებული ნორმები არსებითად იდენტურად აწესრიგებს მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებს.

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში არ არსებობს დებულება, რომელიც გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას, გააგრძელოს სამართალწარმოება და იმსჯელოს ცვლილებების შემდგომ ჩამოყალიბებულ ნორმაზე, თუკი სახეზეა ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმა, ხოლო გასაჩივრებული მოწესრიგება მოქმედებს იმავე ნორმატიული შინაარსით, რა შინაარსითაც მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მის კონსტიტუციურობას. ამასთანავე, გასაჩივრებულ დებულებაში განხორციელებული არაარსებითი ცვლილების შემთხვევაში, სადავო



ნორმის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის შეფასება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის ხელოვნური გაჭიანურების პრევენციას (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის №3/6/1547 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-8-9).

9. იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადაკარგული ნორმის მსგავსად, მოქმედი ნორმის პირობებშიც, პირის უფლება იდენტურად იზღუდება და ეს შეზღუდვა განგრძობადი ხასიათისაა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძალადაკარგული ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებას არ გააჩნია რაიმე შინაარსობრივი ან პრაქტიკული რელევანტურობა. მოქმედი ნორმების ნაცვლად, ძალადაკარგული დებულებების კონსტიტუციურობის შეფასების შემთხვევაში, იმისათვის, რათა მხარემ შეძლოს უფლებების დაცვა/აღდგენა, მას, შესაძლოა, დასჭირდეს იდენტური შეზღუდვის დამდგენი მოქმედი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ახალი სარჩელით მომართვა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს სამართალწარმოების პროცესის ხელახლა დაწყება და იმ ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება, რომელთა არაკონსტიტუციურობაც უკვე დადგენილია. სწორედ ამგვარი, გაჭიანურებული პროცედურის შემდგომ დამდგარი შედეგის ანალოგი იქნება მიღწეული ისეთ შემთხვევაში, თუკი საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს სადავო ნორმების არა ძალადაკარგულ, არამედ - მოქმედ რედაქციას.

10. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, მათ შორის, მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვისა და უფლების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის №1/1/1312 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვა ეფექტიანად შეიძლება მივიჩნიოთ, თუკი იგი პასუხობს სამართლიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს, იძლევა უფლების დაცვის, მისი დარღვევის პრევენციისა და დარღვეული უფლების აღდგენის რეალურ და არა ილუზორულ შესაძლებლობას (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამდენად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფარგლებში, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, იდავოს ყველა იმ აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ზღუდავს ან განჭკრეტად მომავალში შეზღუდავს მის ძირითად უფლებებს, ხოლო საქართველოს კონსტიტუცია, დამატებით, განსაზღვრავს, რომ აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვაზე/შესაძლო შეზღუდვაზე სასამართლოსადმი მიმართვა უნდა იყოს უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალება.

11. უფლების დაცვის ეფექტიანობა, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ, როდესაც განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, სადავო ნორმას ემატება ახალი განსაზღვრება/მოცემულობა, თუმცა, იგი შინაარსობრივად არ ცვლის მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ შინაარსს, საკონსტიტუციო სასამართლო აგრძელებს საქმის განხილვას და აფასებს მოქმედი ნორმის კონსტიტუციურობას (იხ., მაგ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/5/1355,1389 გადაწყვეტილება საქმეზე „სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9-12; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 სექტემბრის №1/7/1437 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს ეპიცენტრი“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 27 დეკემბრის №2/8/1455 განჩინება საქმეზე „გოგი გვიდიანი, ბადრი გვიდიანი, ბიძინა გვიდიანი და ჯამლათ გვიდიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3-7).

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სადავო ნორმებში შესული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული ნორმატიული რეალობა და გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედი კანონმდებლობა (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2-3). აღნიშნული პრაქტიკა, კიდევ ერთხელ, ხაზს უსვამს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომასა და მიზანს, განსახილველი საკითხი გადაწყვიტოს იმგვარად, რომ მიღებული შედეგი იყოს არა ილუზორული, არამედ მაქსიმალურად



ეფექტიანი და რეალობას მორგებული კონსტიტუციური უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

13. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმების ანალიზითა და საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, დგინდება, რომ სადავო ნორმებში განხორციელებულმა ცვლილებებმა ამ ნორმებში განსხვავებული განსაზღვრებები/მოცემულობები გააჩინა, თუმცა მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემა არ შეცვლილა. როგორც უკვე აღინიშნა, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია).

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სამართალწარმოება უნდა გაგრძელდეს მოქმედი ნორმების კონსტიტუციურობის შეფასების გზით.

15. რაც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას, აღნიშნული ნორმა ითვალისწინებდა რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილებას, მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველით.

16. საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდგომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2023 წლის 13 ივნისის №3129-XIმს-Xმპ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. კერძოდ, აღნიშნული ნორმიდან ამოღებულ იქნა პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რის შედეგადაც, დღეს მოქმედ კანონმდებლობაში, დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველით მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების ინსტიტუტი აღარ არსებობს.

17. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქმის განხილვის მომენტისთვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო ნორმის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად.

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობამ ყველა შემთხვევაში შეიძლება არ გამოიწვიოს სადავოდ გამხდარი ნორმატიული შინაარსის გაუქმება. ნორმის გაუქმების შემდეგ, იგი შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს სხვა ისეთი დებულებით, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ შეინარჩუნებს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ ნორმატიულ შინაარსს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). „ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში საქმის განხილვის ავტომატური შეწყვეტა გამოიწვევს კონსტიტუციური კონტროლის აბსოლუტურ დამოკიდებულებას სამართალშემოქმედების დინამიკურ პროცესზე, რამაც, შესაძლებელია, არაგონივრულად გაართულოს საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვა და დაუშვას სამართალშემოქმედებითი პროცესით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობა, ეს კი უარყოფითად აისახება კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებების ეფექტიან უზრუნველყოფაზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-4).

19. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ისეთი მოცემულობა, სადაც უფლების შემზღუდველი ინსტიტუტი ცვლილებების შედეგად გაუქმდა და მოქმედ ნორმატიულ რეალობაში აღარ არსებობს ამ ნორმის საფუძველზე უფლების შესაძლო დარღვევის საფრთხე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი



საბჭოს წარმომადგენლის განმარტებით, სადავო საფუძვლით მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების პრეცედენტი არ დაფიქსირებულა. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, არც თავად მოსარჩელე მხარეს დაუსაბუთებია, რომ სადავო ნორმამ ან მისგან მომდინარე უარყოფითმა ეფექტებმა გავლენა მოახდინა უშუალოდ მის უფლებრივ მდგომარეობაზე. №1693 კონსტიტუციური სარჩელის ავტორები სადავო ნორმის ძველი რედაქციის კონსტიტუციურობის შემოწმებას ითხოვენ მხოლოდ იმ მოტივით, რომ წინასწარ კონსტიტუციური სტანდარტის დადგენით, მიაღწიონ კანონმდებლის მხრიდან მომავალში მსგავსი უფლებამწიფე დევლი მექანიზმის შემუშავების პრევენციას.

20. როგორც აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმების შეფასებისას, ხელმძღვანელობს უფლების რეალური, სწრაფი და ეფექტიანი დაცვის მიზნებით, ყურადღებას აქცევს სადავო ნორმებში შესული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებულ ნორმატიულ რეალობას და გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედ კანონმდებლობას. განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილია მოცემულობა, როდესაც სადავო ნორმის საფუძველზე უფლების შესაძლო დარღვევის შემთხვევები არ არსებობს და ნორმის გაუქმებიდან გამომდინარე, არსებულ ნორმატიულ რეალობაში ვერც იარსებებს. ასევე არ გამოკვეთილა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სადავო ნორმას, გაუქმების მიუხედავად, აქვს უფლების განგრძობითად მზლუდავი ეფექტი.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ №1693 კონსტიტუციური სარჩელზე, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით, არ არსებობს სამართალწარმოების გაგრძელების საჭიროება და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქმე უნდა შეწყდეს.

22. მაშასადამე, წინამდებარე საქმის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაფასებელია სამი განსხვავებული საკითხი, რომლებიც სხვადასხვა სადავო ნორმებით წესრიგდება. პირველი – ეს არის თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების მექანიზმი, მეორე, მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული პროცედურული ასპექტები, და მესამე, მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევის დისციპლინური გადაცდომის სახედ გამოცხადების პროცესში. თითოეულ ამ საკითხს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებლად შეაფასებს.

2. თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების კონსტიტუციურობა

2.1. სადავო ნორმების შინაარსისა და შესაფასებელი მოცემულობის იდენტიფიცირება

23. თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების ინსტიტუტთან მიმართებით, მოსარჩელე მხარე ითხოვს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „სხვა ობიექტური გარემოების“ და მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

24. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების წესს, ხოლო, ამავე მუხლის პირველი პუნქტის გასაჩივრებული სიტყვები მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების ერთ-ერთ საფუძვლად განსაზღვრავს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებით დეტერმინირებულ ობიექტურ გარემოებას.

25. მოსარჩელე მხარისათვის პრობლემურია თანხმობის გარეშე მივლინების ინსტიტუტის არსებული მოწესრიგება იმდენად, რამდენადაც იგი არ ითვალისწინებს მივლინების დროს მოსამართლეთა შერჩევის ობიექტურ კრიტერიუმებს. აგრეთვე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ ავალდებულებს, მისავლინებელი მოსამართლის შერჩევისას, გაითვალისწინოს მოსამართლის კერძო ინტერესები. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარეს დაუშვებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის პირველი ინსტანციის სასამართლოში მივლინების შესაძლებლობა და მისთვის პრობლემაურია, აგრეთვე სადავო



ნორმებით გათვალისწინებული მივლინების ვადა. აღსანიშნავია, რომ „ობიექტური გარემოების“ არსებობის საფუძველით მივლინების არაკონსტიტუციურობასაც, მოსარჩელე მხარე ითხოვს თანხმობის გარეშე მივლინების ფარგლებში. მოსარჩელეების განმარტებით, მისავლინებელ მოსამართლეთა შერჩევისას, სათანადო გარანტიების არარსებობის პირობებში, მივლინების მსგავსი ბუნდოვანი საფუძველით გამოყენების შესაძლებლობა წარმოშობს დამატებით საფრთხეებს, ამ ინსტიტუტის მოსამართლის დასჯის მექანიზმად გამოყენების თვალსაზრისით. ეს ყოველივე, გარდა საჯარო საქმიანობის განხორციელების უფლების შეზღუდვისა, გაუმართლებლად ზღუდავს, აგრეთვე მოსამართლის და სასამართლოს დამოუკიდებლობას და არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

26. ამდენად, თანხმობის გარეშე მივლინებასთან დაკავშირებით, მოსარჩელე მხარე დავობს ორი მიმართულებით. მას, ერთი მხრივ, არაკონსტიტუციურად მიაჩნია თანხმობის გარეშე მივლინების საფუძველად „სხვა ობიექტური გარემოების“ განსაზღვრა, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადად, თანხმობის გარეშე მივლინების არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც არ ითვალისწინებს მოსამართლეთა შერჩევის ობიექტურ კრიტერიუმებსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთების ვალდებულებას. მოსარჩელე მხარის განმარტებით, საბოლოო ჯამში, ეს ორი სადავო ნორმა წარმოშობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან თანხმობის გარეშე მივლინების ინსტიტუტის ცალკეული მოსამართლეების წინააღმდეგ ბოროტად გამოყენების რისკებს.

27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმების კონსტიტუციურობას თავდაპირველად შეაფასებს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან, ხოლო შემდეგ, 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

2.2. სადავო ნორმების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით

2.2.1. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით დაცული სფერო და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

28. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, „საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება მოიცავს საჯაროსამსახურებრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, ადგენს თანამდებობიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლებისაგან დაცვის გარანტიებს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13).

29. საჯარო თანამდებობიდან პირის გათავისუფლება წარმოადგენს საჯაროსამსახურებრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების შეზღუდვის თვალნათელ მაგალითს, თუმცა, ცხადია, რომ დასახელებული კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის შემთხვევები მხოლოდ პირის თანამდებობიდან გათავისუფლებით არ შემოიფარგლება. საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეფერხებამ, შესაძლოა, სხვადასხვაგვარი შედეგები წარმოშვას და ინტენსივობით ყოველ ჯერზე არ გაუთანაბრდეს სამსახურიდან გათავისუფლებას, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, რომელიც ამ უფლების განხორციელების რაიმე ფორმით შეფერხებას/შეზღუდვას გამოიწვევს, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუციის სწორედ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით უნდა გადამოწმდეს. სწორედ დასახელებული კონსტიტუციური დანაწესი ავალდებულებს სახელმწიფოს, დაადგინოს საჯარო თანამდებობაზე საქმიანობის გონივრული პირობები, რათა მან შეუფერხებლად განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

30. ამასთანავე, დასახელებული კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის კონტექსტში გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა საჯაროსამსახურებრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად



განხორციელებასთან მიმართებით, შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს თანამდებობის პირის უფლებრივი დაცვის გარანტიები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის მიმართ მოქმედი უფლების დაცვის კონსტიტუციური სტანდარტები შეიძლება გამომდინარეობდეს მისი კონსტიტუციური სტატუსიდან. ამასთან, მაღალი კონსტიტუციური სტანდარტის აუცილებლობა შეიძლება განსაზღვრულიყო საქმიანობის თავისებურებას უკავშირდებოდეს. განსაზღვრული ტიპის სახელმწიფო თანამდებობები, თავიანთი შინაარსითა და დანიშნულებით განსაკუთრებულ კონსტიტუციურ დაცვას საჭიროებს. ამგვარი გარანტიების არარსებობის შემთხვევაში ზოგიერთი სახელმწიფო სამსახურის კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტიები ფიქტიურ ხასიათს მიიღებდა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27).

31. მოსამართლის თანამდებობა, მისი სტატუსიდან და ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, სწორედ ისეთ საჯარო თანამდებობათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის შეუფერხებელი განხორციელებაც განსაკუთრებულად არის დაცული საქართველოს კონსტიტუციით. მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, მისი დაცვა ყოველგვარი გარე ჩარევისაგან, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მოსამართლე წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომლის მიერ საკუთარი ფუნქციების მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და მაღალი პროფესიონალიზმით განხორციელებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნებისმიერ სახელმწიფოში კანონის უზენაესობის, სამართლებრივი სახელმწიფოს და, ზოგადად, დემოკრატიის არსებობა და მათი სრულყოფილი რეალიზაცია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

32. სწორედ ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის გამოძახილს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოსამართლეთა შეუცვლელობისა და განსახილველ საქმეთა ჩამოცილებისაგან დაცვის პრინციპები, რომელთა სათანადო განმტკიცებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული პრინციპების დაცვა მოითხოვს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში, მის საქმიანობაში მაქსიმალურ ჩაურევლობას. საქმეთა განხილვისაგან მოსამართლის ჩამოცილება, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განჭვრეტადი პროცედურების თანხლებით უნდა განხორციელდეს და უკიდურესი აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი.

33. თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანას მჭიდრო კავშირი აქვს მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპთან. თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინება, მართალია, არ გულისხმობს მართლმსაჯულების სისტემისგან მოსამართლის სრულად ჩამოცილებას, თუმცა ცხადია, რომ ამ დროს, მოსამართლის ნების საწინააღმდეგოდ, ხდება მისი გადაყვანა სხვა სასამართლოში, რაც ნიშნავს მისთვის როგორც სამუშაო ადგილის შეცვლას, ისე კონკრეტულ საქმეთა განხილვისაგან მის ჩამოშორებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ცალკე ამ გარემოებებზე მითითებაც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება წარმოადგენს მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებაში ინტენსიურ ჩარევას და ეს შეზღუდვა მკაცრად უნდა შეფასდეს.

34. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ საჯარო საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უფლება გულისხმობს საქმიანობის სამართლიან, გონივრულ პირობებს. შესაბამისად, ამ უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ მოსამართლის ნების საწინააღმდეგოდ მისი სამუშაო ადგილის ცვლილებამ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მივლინება ხანგრძლივი ვადით გრძელდება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი და აუცდენელი თანმდევი გავლენა იქონიოს მის ყოველდღიურ ცხოვრებასა და აკადემიურ საქმიანობაზე.

35. მოქმედი კანონმდებლობით, თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინება, საერთო ჯამში, შესაძლოა, გაგრძელდეს სამ წლამდე ვადით. მოსარჩელეთა განცხადებით, რომელთა უმრავლესობას აქვს რამდენიმეწლიანი სამოსამართლო გამოცდილება, მოსამართლედ განწყობის კონკურსში მონაწილეობის მიღებისას, პირი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, სამუშაო ადგილად გაცნობიერებულად



ირჩევს კონკრეტულ სასამართლოს. შესაბამისად, ხანგრძლივი პერიოდით მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება, ნიშნავს მისი ცხოვრების წესის მნიშვნელოვან ცვლილებას.

36. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინება და, შესაბამისად, ამ მივლინების საფუძვლისა და განხორციელების წესის მომწესრიგებელი სადავო ნორმები, მნიშვნელოვნად ზღუდავს მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უფლებას და ექვემდებარება მკაცრ კონსტიტუციურსამართლებრივ შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების ფარგლებში.

2.2.2. უფლების შეზღუდვის გამართლება, შეფასების ტესტი

37. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და შესაძლებელია მისი შეზღუდვა. ამავდროულად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი „სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის, საკანონმდებლო ხელისუფლების, მოქმედებას მკაცრ კონსტიტუციურსამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-18), რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით.

38. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით დადგენილი ფორმალური მოთხოვნაა, რომ საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრებოდეს „კანონით“. განსახილველ შემთხვევაში, თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების საფუძვლები და მივლინების პროცედურა განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. მოსარჩელის პრობლემას წარმოადგენს არა კანონის განუსაზღვრელობა, არამედ, სადავო ნორმების იმგვარი მოწესრიგება, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესაძლებლობას აძლევს, თანხმობის გარეშე მივლინების მექანიზმი გამოიყენოს კონკრეტული მოსამართლის დასჯის მიზნით. აღნიშნული კი კონსტიტუციური უფლების მატერიალურ მოთხოვნებთან შეფასების საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს.

39. მატერიალური თვალსაზრისით, საჯარო სამსახურის შეუფერხებლად განხორციელების უფლების შეზღუდვის შეფასების მასშტაბს თანაზომიერების პრინციპი ქმნის. შესაბამისად, საჯარო თანამდებობის განხორციელების შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლებისათვის აუცილებელია, იგი შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პირის დისტანცირება საჯარო მმართველობის პროცესიდან უნდა მოხდეს შესაბამისი ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობისას. ამასთან, კანონმდებლის მიერ დადგენილი შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს და უნდა იყოს მიზნის მიღწევის გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული საშუალება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44).

2.2.3. ლეგიტიმური მიზანი

40. როგორც უკვე აღინიშნა, იმისათვის, რომ სადავო ნორმით დადგენილი საჯარო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლების შეზღუდვა, მატერიალური თვალსაზრისით, კონსტიტუციურად იქნეს მიჩნეული, იგი უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპის უპირველესი მოთხოვნაა, რომ გასაჩივრებული საკანონმდებლო ღონისძიება ემსახურებოდეს ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. სასამართლოს განმარტებით, „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებებში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის



41. სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზნად მოპასუხე მხარემ დაასახელა მართლმსაჯულების ეფექტიანი და ჯეროვანი განხორციელება.

42. ზოგადად, ჯეროვანი, ქმედითი და ეფექტიანი მართლმსაჯულების გარეშე, წარმოუდგენელია ადამიანის უფლებების სათანადო გარანტირება და დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა. ამავდროულად, მოსამართლის ერთი სასამართლოდან მეორეში მივლინება შეიძლება ჩაითვალოს ჯეროვანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიზნის მიღწევის ერთ-ერთ კომპონენტად, ვინაიდან პრაქტიკაში სრულად ვერ გამოირიცხება ისეთი ობიექტური შემთხვევების დადგომის ალბათობა, როდესაც მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, მოსამართლის ერთი სასამართლოდან მეორეში მივლინება იქნება საჭირო. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების მექანიზმის არსებობას არც თავად მოსარჩელე ხდის სადავოდ.

43. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნების საფუძველზე, შესაძლებელია, თანხმობის გარეშე მივლინების გზით, მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უფლების შეზღუდვა.

2.2.4. გამოსადეგობა და აუცილებლობა

44. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ლეგიტიმური მიზნის არსებობა, თავისთავად, არ არის საკმარისი უფლებაშემზღუდველი რეგულაციის კონსტიტუციურად მიჩნევისათვის. იმისთვის, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისად ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გამოსადეგობის და აუცილებლობის კრიტერიუმებს.

45. ამა თუ იმ ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი „დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48). იმავდროულად, „გამოსადეგობასთან ერთად, შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებადმზღუდველ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). საჭიროა, არ არსებობდეს სხვა, ნაკლებად შემზღუდველი საშუალებით, დასახელებული ლეგიტიმური მიზნის იმავე ეფექტიანობით მიღწევის გონივრული შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ ღონისძიება იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ობიექტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის რეალიზაციისათვის, რაც თანაზომიერების პრინციპის საწინააღმდეგოა.

46. მოსარჩელე მხარეს თანხმობის გარეშე მივლინება არაკონსტიტუციურად მიაჩნია იმდენად, რამდენადაც საკანონმდებლო დონეზე არ არის გათვალისწინებული მოსამართლის შერჩევის ობიექტური კრიტერიუმები და ისეთი მეთოდები, რომლებიც გამორიცხავდა იუსტიციის საბჭოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. ამავდროულად, მივლინების ინსტიტუტი არ ითვალისწინებს მოსამართლის შერჩევის პროცესში, უშუალოდ მოსამართლის ეფექტიანი ჩართულობისა და მისი კერძო ინტერესების სათანადო გათვალისწინების ვალდებულებას. „სხვა ობიექტური გარემოების“ საფუძველით მივლინებასთან მიმართებით, მოსარჩელე მხარემ განაცხადა, რომ კანონში მივლინების აღნიშნული საფუძვლის დამატების აუცილებლობა არ არსებობდა, ვინაიდან უკვე არსებული ორი საფუძველი (სასამართლოში მოსამართლეთა ნაკლებობა ან/და საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა) სრულად ფარავს იმ შემთხვევებს, რა დროსაც მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება შესაძლოა გახდეს საჭირო.

47. მოპასუხე მხარის განცხადებით, თანხმობის გარეშე მივლინების ცვლილებამდე არსებული მოდელის



პირობებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ახლომდებარეობის კრიტერიუმი და მისავლინებელი მოსამართლის წილისყრის მეშვეობით შერჩევის მექანიზმი არ იყო ეფექტიანი და მივლინების ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენებისას, შესაძლოა, გამხდარიყო დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის დამაბრკოლებელი საშუალება. შესაბამისად, შერჩევის არსებული კრიტერიუმებისა და მეთოდების ამოღებით, ეს ინსტიტუტი გახდა უფრო მოქნილი და სრულყოფილი. თანხმობის გარეშე მივლინების არსებული მოწესრიგება, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აძლევს კერძო და საჯარო ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისა და მისავლინებლად ყველაზე ხელსაყრელი კანდიდატის შერჩევის შესაძლებლობას. რაც შეეხება მივლინების საფუძვლად „სხვა ობიექტური გარემოების“ დამატებას, მოპასუხის განმარტებით, გამონაკლისის სახით, სასამართლოში შესაძლოა წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როდესაც მოსამართლის მივლინება გახდება საჭირო არა კლასიკურად მოსამართლეთა ნაკლებობის ან/და საქმეთა სიმრავლის მკვეთრი ზრდის გამო, არამედ სხვა არაორდინარული მიზეზით, მაგალითად, როგორცაა მოსამართლის მიერ შვებულებით სარგებლობა იმ სასამართლოში, სადაც მხოლოდ ერთი მოსამართლეა, ან ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვა და საქმეზე სათადარიგო მოსამართლის დანიშვნის საჭიროება სასამართლოში, სადაც, როგორც წესი, არსებული მოსამართლეების რაოდენობა საკმარისია საქმეების განსახილველად. აგრეთვე იმ სიტუაციაში, როდესაც პირველი ინსტანციის მოსამართლე განწყობდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, თუმცა საჭირო გახდება მისი მივლინება პირველი ინსტანციის სასამართლოში, დაუსრულებელი საქმეების დასამთავრებლად.

48. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოპასუხის პოზიციას გამონაკლისის წესით მივლინების საფუძვლად „სხვა ობიექტური გარემოების“ გამოსადეგობასა და აუცილებლობასთან დაკავშირებით. მოპასუხის მიერ მოხმობილმა მაგალითებმა აჩვენა, რომ შესაძლოა იშვიათ შემთხვევებში წარმოიშვას ისეთი ობიექტური გარემოება, რომელიც ვერ ჩავარდება მივლინების სახელდებით განსაზღვრული ორი კლასიკური საფუძვლიდან ერთ-ერთში მაინც. შესაბამისად, მივლინების საგამონაკლისო საფუძვლად „სხვა ობიექტური გარემოების“ განსაზღვრა, იმ პირობით, რომ ყოველ ჯერზე დასაბუთდება ამ საფუძვლით მივლინების აუცილებლობა მართლმსაჯულების ჯეროვნად განსახორციელებლად, იძლევა ამ ინსტიტუტის უფრო ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას.

49. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასევე იზიარებს მოპასუხის მსჯელობას იმასთან მიმართებით, რომ თანხმობის გარეშე მივლინების პროცესში მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმების საკანონმდებლო დონეზე გათვალისწინებლობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ეძლევა ამ მექანიზმის უფრო მოქნილად და ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა. როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის შეზღუდული გარკვეული კრიტერიუმებით და, მით უფრო, წილისყრის მეშვეობით მოსამართლეთა შემთხვევითი შერჩევის პროცედურით, მას საჯარო ლეგიტიმური მიზნების მხედველობაში მიღების პარალელურად ეძლევა თითოეული მოსამართლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და მივლინების კონკრეტული შემთხვევის ირგვლივ არსებული გარემოებების სრულყოფილად გათვალისწინების შესაძლებლობა.

50. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული რეგულაციები ვარგისია დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად და, ამავდროულად, არ არსებობს სხვა, ნაკლებად შემზღუდველი საშუალებით, ამ მიზნების იმავე ეფექტიანობით მიღწევის გონივრული შესაძლებლობა. ამდენად, სადავო ნორმები აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის გამოსადეგობისა და აუცილებლობის კრიტერიუმებს.

2.2.5. პროპორციულობა ვიწრო გაგებით

51. ვინაიდან სადავო ნორმები აკმაყოფილებს გამოსადეგობისა და აუცილებლობის მოთხოვნებს, უფლებამწმუნედველი ნორმატიული წესის კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისად მიჩნევისათვის, საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე უნდა გამოარკვიოს, სადავო ნორმებით დადგენილი რეგულირების ფარგლებში დაცული ინტერესი, საკუთარი მნიშვნელობით, აღემატება თუ არა შეზღუდულ ინტერესს. ამ ეტაპზე უნდა გაანალიზდეს, რამდენადაა დაცული პროპორციულობა ვიწრო გაგებით (*stricto sensu*), რომლის მოთხოვნაა, რომ „უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43).



52. მოსარჩელე მხარის პოზიციით, თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების ინსტიტუტის არაკონსტიტუციურობას განაპირობებს სადავო ნორმებით გათვალისწინებული მივლინების გამოყენების ერთ-ერთი საფუძველი და მისავლინებელი მოსამართლის შერჩევის წესი. კერძოდ, მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ სადავო ნორმების არსებული მოწესრიგება, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აძლევს თანხმობის გარეშე მივლინების ცალკეული მოსამართლეების მიმართ სადამსჯელო იარაღად გამოყენების შესაძლებლობას. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ზოგადად, თანხმობის გარეშე მივლინების ინსტიტუტის საჭიროებას მოსარჩელე მხარე არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დაადგინა სადავო ნორმებიდან მომდინარე რეგულაციის გამოსადეგობა და აუცილებლობა დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით.

53. საქართველოს კონსტიტუცია მოსამართლის მივლინების განხორციელების საფუძვლებისა და წესის რეგულირებას *expressis verbis* არ ითვალისწინებს. იგი სიტყვასიტყვით არ ადგენს მივლინების საფუძვლებს ან/და ამ პროცესში მოსამართლის შერჩევის რაიმე სავალდებულო კრიტერიუმის საკანონმდებლო დონეზე გათვალისწინების აუცილებლობას. თუმცა, ცხადია, ეს არ ნიშნავს, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის სრული თავისუფლების მინიჭებას. პირიქით, ერთი მხრივ, კონსტიტუციით იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დაკისრებული ფუნქციები, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებული საჯარო საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების კონსტიტუციური უფლება, თანხმობის გარეშე მივლინების მექანიზმის გამოყენებისას საბჭოს უდგენს მთელ რიგ სტანდარტებსა და ვალდებულებებს.

54. სწორედ ამიტომ, ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე შეზღუდვის კონსტიტუციურობის შესაფასებლად, უნდა გაირკვეს, თანხმობის გარეშე მივლინების არსებული მოდელი რამდენად წარმოშობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და იმ რისკების რეალიზების რეალურ საფრთხეებს, რომელზეც საუბრობდა მოსარჩელე მხარე. სწორედ ამ საფრთხეების არსებობაზეა დამოკიდებული იმის დადგენა, თანხმობის გარეშე მივლინების არსებული მოდელი, იცავს თუ არა ბალანსს, მოსამართლის საჯარო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლების შეზღუდვასა და ჯეროვანი, ქმედითი და ეფექტიანი მართლმსაჯულების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას შორის.

55. წინამდებარე საკითხის გადასაწყვეტად, პირველ რიგში, საჭიროა, გაანალიზდეს თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინებაზე პასუხისმგებელი ორგანოს სტატუსი და მოქმედების ფარგლები. ასევე, მნიშვნელოვანია, გამოვკვლეული იქნეს ამ პროცესში მოსამართლის უფლებრივი მდგომარეობის დაუსაბუთებელი შეზღუდვისგან დაცვის გარანტიები.

56. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ, უპირველეს ყოვლისა, თანხმობის გარეშე მივლინების მართლზომიერად და კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვით გამოყენების გარანტიად გვევლინება გადაწყვეტილების მიწოდება ისეთი მაღალი ლეგიტიმაციის მქონე კონსტიტუციური ორგანოსათვის, როგორიც არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

57. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს კონსტიტუციურ ორგანოს, რომელიც საკუთარ კონსტიტუციურ უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

58. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით უკვე დადგენილია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების არსებული კონსტიტუციური მოდელი, მისი შემადგენლობა და გადაწყვეტილების კოლეგიურად მიღების წესი უზრუნველყოფს საბჭოს შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილ და პოლიტიკურად ნეიტრალურ ორგანოდ ჩამოყალიბებას, რომელიც სარგებლობს დამოუკიდებლობის მაღალი კონსტიტუციური გარანტიებით და შესწევს უნარი სრულფასოვნად განახორციელოს კონსტიტუციით მისთვის დაკისრებული ფუნქციები ისე, რომ არ გადაიქცეს დახურულ, ვიწროდ კორპორატიულ ინტერესებზე ორიენტირებულ სტრუქტურად (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27-34).



59. ცხადია, თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მსგავსი ლეგიტიმაციისა და დამოუკიდებლობის მქონე ორგანოს მიერ, რომლის პირდაპირი კონსტიტუციური ვალდებულებაა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვნად ამცირებს იმ რისკებს, რომლებზეც აპელირებდა მოსარჩელე მხარე, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულის მიღმაც, კანონმდებლობა შეიცავს სხვადასხვა გარანტიებს, რომლებიც თანხმობის გარეშე მივლინების ინსტიტუტის კონკრეტული მოსამართლის წინააღმდეგ ბოროტად გამოყენების რისკებს აზღვევენ.

60. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თანხმობის გარეშე მივლინების მექანიზმი ამოქმედებას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლო სისტემაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ შეარჩევს ისეთ მოსამართლეს, რომელიც თანხმობას გამოთქვამს მივლინების თაობაზე. ეს დათქმა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი პრაქტიკაში მნიშვნელოვნად ამცირებს, ზოგადად, თანხმობის გარეშე მივლინების გამოყენების ალბათობას. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ მივლინების მექანიზმის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების შემდეგ, პრაქტიკაში ერთხელაც არ დამდგარა თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების საჭიროება.

61. თანხმობის გარეშე მივლინება ყოველთვის დეტერმინირებული უნდა იყოს მართლმსაჯულების ჯგეროვანი განხორციელების მიზნით და მას უნდა გააჩნდეს კონკრეტული საფუძველი. მათ შორის, „სხვა ობიექტური გარემოების“ არსებობის შემთხვევაშიც, კანონმდებელი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადების საფუძველზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ავალდებულებს დაასაბუთოს, თუ რაში მდგომარეობდა ობიექტური გარემოება, რომელმაც მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი ერთი სასამართლოდან მეორეში მივლინება აუცილებელი გახადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლის არანებაყოფლობითი მივლინება იქნება უკანონო და ვერ განხორციელდება.

62. ამავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭო მხოლოდ მივლინების კონკრეტული საფუძვლებისა და მიზნის დასაბუთების ვალდებულებით არ არის შეზღუდული. არსებული კანონმდებლობა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აკისრებს, მათ შორის, კონკრეტული მისავლინებელი მოსამართლის შერჩევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებასაც. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ გაუსვამს ხაზი, სადავო ნორმის რეალური შინაარსისა და მისგან მომდინარე შეზღუდვის ფარგლების წარმოსაჩენად, კანონმდებლობის სისტემური განმარტების მნიშვნელობაზე. მოცემულ შემთხვევაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის 16¹ და 16² პუნქტების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ საერთო მოთხოვნაა, რომ საბჭოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – განკარგულება შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.

63. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე როგორც მოპასუხე მხარის, ისე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ თანხმობის გარეშე მივლინების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება, მათ შორის, უნდა შეეხებოდეს იმის ახსნას, თუ რატომ შეირჩა მისავლინებელ კანდიდატად კონკრეტული მოსამართლე. აღნიშნული საკითხის დასაბუთების ვალდებულებას ის ფაქტიც განაპირობებს, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინებამ, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მოსამართლის უფლებრივ მდგომარეობაზე, მაგალითად, მის სამუშაო გარემოზე, პირად ცხოვრებაზე, მის მიმართ თანასწორ მოპყრობაზე და ა.შ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კი ისევე როგორც ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო, შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით და იგი არ არის უფლებამოსილი საკუთარი ფუნქცია განახორციელოს ამ უფლებათა დაუსაბუთებელი შეზღუდვის ხარჯზე. სწორედ მსგავსი საფრთხეების ჩანასახშივე პრევენციის გამოძახილს წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის 16² პუნქტის მე-3 წინადადება, რომლის თანახმად, პირს, რომლის კანონიერ ინტერესზეც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება, უფლება აქვს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აღნიშნული განკარგულების მიღებამდე, წერილობით წარუდგინოს თავისი მოსაზრება.



64. გადაწყვეტილების სრულყოფილი დასაბუთების ვალდებულებაზე მიუთითებს, აგრეთვე ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი და უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ ამ გადაწყვეტილების გადამოწმების ფარგლები. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის მივლინების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, მივლინებული მოსამართლის მიერ შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საკვალიფიკაციო პალატაში სამართალწარმოება მიმდინარეობს ამ კანონის 36⁵ და 36⁶ მუხლებით დადგენილი წესით. აღნიშნული მუხლების საფუძველზე, ერთი მხრივ, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას ეკისრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ყოველმხრივ, მათ შორის, შინაარსობრივი კუთხით, გამოკვლევისა და შეფასების ვალდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, უშუალოდ მოსამართლეს ეძლევა შესაძლებლობა იდავოს, როგორც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან უფლებამოსილების მიკერძოებულად, დისკრიმინაციულად ან/და გადამეტებით გამოყენების შესახებ, ისე ამ გადაწყვეტილებით მისი უფლებების დარღვევის თაობაზე, მას აქვს უფლება, ზეპირი მოსმენით გამართულ სხდომაზე წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება, შეკითხვები დაუსვას მოწინააღმდეგე მხარეს და მიიღოს პასუხები იმ კითხვაზე, თუ როგორ მოხდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მისავლინებელ მოსამართლედ მისი კანდიდატურის შერჩევა.

65. ეს ყოველივე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ავალდებულებს დასაწყისშივე დაასაბუთოს, თუ რატომ მოხდა მივლინებისთვის კონკრეტული მოსამართლის შერჩევა, აგრეთვე რამ განაპირობა მივლინებისთვის კონკრეტული ვადის განსაზღვრა ან/და რატომ გახდა საჭირო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მივლინება.

66. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმების არსებული მოწესრიგება, მათი გონივრული განმარტების პირობებში, არ წარმოშობს იმ რისკებსა და საფრთხეებს, რომლებზეც აპელირებდა მოსარჩელე მხარე. აღსანიშნავია ისიც, რომ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, არ არსებობს სადავო ნორმების იმგვარად განმარტების პრეცედენტი, რომელიც მოსარჩელის შიშს გაამყარებდა.

67. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში მივლინების სადავოდ გამხდარი საფუძველი და პროცედურა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით დადგენილ მოთხოვნებს.

2.3. სადავო ნორმების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

68. №1700 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, მოსარჩელე მხარე სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობას ითხოვს აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე მხარის განმარტებით, მოსამართლის მივლინების მართლზომიერად გამოყენების საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. მოსარჩელის პოზიციით, თანხმობის გარეშე მივლინების არსებული მოდელი, შესაძლოა გამოყენებული იქნეს მოსამართლეზე ზემოქმედების გზით, მის მიერ გადასაწყვეტ საქმეზე გავლენის მოსახდენად. მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დარღვევა ან, თუნდაც, მათი დარღვევის რეალური საფრთხის არსებობა, საზოგადოებას უკარგავს ნდობას სამართლიანი სასამართლოს მიმართ და ღახავს პირის უფლებას, საკუთარი უფლებები და თავისუფლებები დაიცვას დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე. ამდენად, მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმების საფუძველზე დადგენილი მივლინების მექანიზმი ვერ პასუხობს სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილ სტანდარტებს.

69. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობა, მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხებს წარმოადგენს სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისათვის. მართლმსაჯულების ისეთ სისტემაში, სადაც ამ პრინციპების დაცვა საფრთხის ქვეშ იმყოფება, შეუძლებელია საუბარი სამართლიანი სასამართლოს უფლების სათანადოდ დაცულობაზე.



70. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლება უპირობოდ არის შებოჭილი ვალდებულებით, უზრუნველყოს როგორც დამოუკიდებელი, ისე კვალიფიციური და კომპეტენტური სასამართლო, თუმცა ამ პროცესში ფართოა მისი მიხედულების ფარგლები, რა სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით, როგორი სისტემის ფარგლებში მიაღწევს ამ მიზანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-93). ამასთან, „სამართლიანი მართლმსაჯულება მოითხოვს არა მხოლოდ ყველა საჭირო, საკმარისი და ადეკვატური პროცედურითა თუ გარანტიით სასამართლოს აღჭურვას, არამედ, იმავდროულად, გულისხმობს მის ასეთად აღქმადობას საზოგადოების და დაცვის მონაწილეთა მხრიდან. სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას, ცხადია, პირველ რიგში, განაპირობებს და უზრუნველყოფს სასამართლოს (მოსამართლეთა) ინსტიტუციური და პერსონალური დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ამასთან, გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის დამაჯერებელი ხარისხი. ამ თვალსაზრისით, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ინსტიტუტისადმი მხარეთა და, ზოგადად, საზოგადოების ნდობას, რომელიც ზემოაღნიშნულის გარდა სხვა ფაქტორებზე დამოკიდებულებითაც იქმნება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-101).

71. თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების მექანიზმი, თუ მისი გამოყენება არ ხდება მოსამართლის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვის სათანადო გარანტიების თანხლებით, ერთი მხრივ, რეალურ და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვის თვალსაზრისით, რასაც, შესაძლოა, პირდაპირი გავლენა ჰქონდეს ამ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგზე, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტსა და სანდოობას საზოგადოების აღქმაში, ვინაიდან ბაძებს გონივრულ ეჭვს, რომ მსგავსი მექანიზმი გამოყენებული იქნება მოსამართლეთა ხელოვნური გადაადგილებისა და კონკრეტულ საკითხზე კონკრეტული შედეგის მქონე გადაწყვეტილების მისაღებად. ცხადია, საკითხის ამგვარი მოწესრიგება, თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების მექანიზმს შეუთავსებელს ხდის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ უფლებასთან, რომლის დაცვის მთავარ ფიგურანტს წარმოადგენს სწორედ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო/მოსამართლე.

72. აღსანიშნავია, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების მექანიზმის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ უფლებასთან შეუთავსებლობის მოთხოვნას, მოსარჩელე აფუძნებს იმავე მსჯელობასა და არგუმენტაციას, რასაც იგი იშველიებდა საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით. კერძოდ, მოსარჩელე მხარეს თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების მექანიზმი სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შეუთავსებლად მიაჩნია იმდენად, რამდენადაც, მისი აზრით, სადავო ნორმებით გათვალისწინებული საფუძველი და პროცედურა წარმოშობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხეს და არ შეიცავს მოსამართლის უფლებების დაცვის საკმარის გარანტიებს.

73. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში, უკვე შეფასდა თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების მოქმედი მექანიზმის კონსტიტუციურობა მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით და დადგინდა მისი თავსებადობა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან (იხ., წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 37-ე - 67-ე პარაგრაფები). სადავო ნორმების შეფასებისას, უკვე გაანალიზდა ის რისკები და საფრთხეები, რომლებზეც აპელირებდა მოსარჩელე მხარე და გამოკვლეული იქნა ამ პროცესში მოსამართლის უფლების დაცვის გარანტიები. შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ ხედავს სადავო ნორმების საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით დამოუკიდებელი შეფასების საჭიროებას და მიაჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „სხვა ობიექტური გარემოების“ და ამავე მუხლის მე-2 პუნქტი არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

3. მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული პროცედურული ასპექტების კონსტიტუციურობა საქართველოს



3.1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული ასპექტები

74. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, სამართლიანი სასამართლოს უფლება, თავის თავში, არაერთ უფლებრივ კომპონენტს აერთიანებს და გულისხმობს არა მხოლოდ პირის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას, არამედ, სახელმწიფოს მხრიდან, იმგვარი ნორმატიული წესრიგის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას. „სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. ... თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №3/1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14).

75. ამასთანავე, ბუნებრივია, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოსადმი ფორმალურად მიმართვის შესაძლებლობით. „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით უზრუნველყოფილია სასამართლოსადმი ეფექტიანი, ქმედითი ხელმისაწვდომობის უფლება, რაც პირის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა და იცავს მას უკანონო ან/და დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად უფლების დარღვევისაგან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის №1/5/1472 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლების უმთავრესი მიზანია, სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტის გარანტირებით და პროცესის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურებით წარმართვის მეშვეობით, შესაძლებელი გახადოს სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ უფლებრივ კომპონენტებს, როგორებიცაა, მაგალითად, სასამართლოსადმი ეფექტიანი, ქმედითი ხელმისაწვდომობა, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების გზით უფლების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობა და სხვა.

76. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მხარის მონაწილეობა სასამართლო პროცესში სამართლიანი სასამართლოს სხვა უფლებრივი კომპონენტებით სარგებლობის აუცილებელი წინაპირობაა. პირის მონაწილეობა სასამართლო პროცესში, მოსამართლისათვის საკუთარი არგუმენტაციის წარდგენა და პოზიციების დაცვის შესაძლებლობა მართლმსაჯულების განხორციელების იმანენტური კომპონენტია. უპირველეს ყოვლისა, უფრო დიდია ალბათობა, რომ მხარეთა მონაწილეობით, ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების შეჯერებითა და მტკიცებულებების ყოველმხრივ გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება იქნება სამართლიანი და ობიექტურად შეფასდება სადავო გარემოებები. ამასთანავე, თუკი პირს არ მიეცემა სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება, რთულად წარმოსადგენია, რომ მას ჰქონდეს ნდობა მიღებული გადაწყვეტილების მიმართ, პროცესის მონაწილის სუბიექტური აღქმით ვერ ჩაითვლება, რომ მართლმსაჯულება შედგა. თუკი პროცესი მხარის მონაწილეობის გარეშე წარმართება, ამით, შესაძლოა, დაირღვეს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, პირმა ვერ შეძლოს სხვადასხვა საპროცესო მექანიზმით/გარანტიით სარგებლობა, ვერ გაასაჩივროს შუალედური აქტები ან საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება და სხვა. შესაბამისად, მხარის სამართალწარმოების პროცესზე მიუწვევლობა წარმოშობს პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევისა და არასწორი გადაწყვეტილების მიღების მომეტებულ რისკს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის №3/2/1400 გადაწყვეტილება საქმეზე „ემზარ კვიციანი, ეთერ ჩხეტიანი-ანსიანი, მაია ანსიანი და იაგორ ანსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-32-33).

77. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს უფლებრივ კომპონენტს წარმოადგენს. პირს მიერ საკუთარი თავის დასაცავად პოზიციის პირადად



გამოხატვის ან/და დამცველით უზრუნველყოფის უფლება, პრაქტიკულად, ვერ რეალიზდება, როდესაც საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქმის ზეპირი მოსმენა ითვალისწინებს რა მხარეთა უშუალო მონაწილეობას საქმის განხილვაში, რაც ნიშნავს მათ შესაძლებლობას, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სწორედ ამ გზით წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისთვის, ამასთან, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ საქმის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-61).

78. ამასთან, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ უფლებრივ კომპონენტს, როგორიცაა გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის გონივრული ვადის დადგენა. „არაგონივრულად ხანმოკლე ვადის პირობებში მხარეებს და სასამართლოს შესაბამისად ერთმევათ შესაძლებლობა, წარმოადგინონ სასამართლოში საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, სრულყოფილად გამოიკვლიონ საქმის გარემოებები და განახორციელონ საჭირო საპროცესო მოქმედებები ...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9).

3.2. სადავო ნორმების შინაარსის, შესაფასებელი მოცემულობისა და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

79. მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებისა და მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

80. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების წესს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევაში. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება დაუშვებლად აცხადებს მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გასაჩივრების ვადის აღდგენას ან გაგრძელებას, რომელიც შეადგენს გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღეს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 წინადადება ადგენს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, ეს ხელს შეუწყობს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას. ამავე ქვეპუნქტის მე-3 წინადადება კი განმარტავს, რომ საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვაზე საქმის მხარის გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას.

81. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმების საფუძველზე მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილება ნიშნავს მისთვის უფლებამოსილების შეჩერებას შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოების საბოლოო დასრულებამდე, რაც წარმოადგენს მოსამართლის საქმიანობაში ინტენსიურ ჩარევას. შესაბამისად, მოსამართლის მიმართ მსგავსი ხასიათის გადაწყვეტილების მიღებისას, იგი აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო პროცედურული გარანტიებით, რათა არ დაირღვეს ამ უკანასკნელის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლება.

82. მოსარჩელე მხარეს არაკონსტიტუციურად მიაჩნია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის აღდგენის ან გაგრძელების დაუშვებლობა მოსამართლის მიერ ამ ვადის საპატიო მიზეზით გაშვების შემთხვევაში. იგი ასევე სადავოდ ხდის რეგულირებას, რომელიც უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას ანიჭებს სრულ დისკრეციას, თავად გადაწყვიტოს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის საჭიროება. მოსარჩელის განმარტებით, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოშორების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია მოხდეს როგორც ფორმალურ-სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევა. შესაბამისად, საკუთარი პოზიციისა და უფლებების სრულყოფილად დაცვის მიზნით,



მოსამართლისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჩივრის განხილვა ზეპირი მოსმენით. და ბოლოს, მოსარჩელე მხარეს არაკონსტიტუციურად მიაჩნია წესი, რომლის მიხედვითაც, საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვაზე მოსამართლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას.

83. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს სამი საკითხი: 1. მოსამართლისათვის, საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გასაჩივრების ვადის აღდგენის ან გაგრძელების დაუშვებლობა, მოსამართლის მიერ ამ ვადის საპატიო მიზეზით გაშვების შემთხვევაში; 2. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და 3. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება განხილვაზე მოსამართლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

84. სადავო ნორმები, ერთი მხრივ, დაუშვებლად აცხადებს გადაწყვეტილების გასაჩივრების 10- დღიანი ვადის გაგრძელებას, ხოლო, მეორე მხრივ, უშვებს საჩივრის განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშე ან/და მხარეთა დაუსწრებლად. მოსარჩელე მხარე სადავო ნორმების კონსტიტუციურობაზე დავობს მოსამართლის პერსპექტივიდან, რომელსაც ამ ნორმების საფუძველზე გამართული პროცესის შედეგად შესაძლოა შეუჩერდეს მოსამართლის უფლებამოსილება შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოების საბოლოო დასრულებამდე.

85. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმების საფუძველზე იზღუდება სამართლიანი სასამართლოს ზემოთ დასახელებული უფლებრივი კომპონენტები. თითოეული ამ კომპონენტის შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხს სასამართლო ცალ-ცალკე შეაფასებს თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე.

3.3. საქმეთა განხილვისაგან მოსამართლის ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გასაჩივრების ვადის აღდგენის ან გაგრძელების დაუშვებლობა

86. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია გაიზიარებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებას და მიიჩნევს, რომ არსებობს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ შესაბამის თანამდებობაზე მოსამართლის დარჩენით ხელი შეეშლება შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოების საბოლოოდ დასრულებამდე მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედების პერიოდში მოსამართლეს უჩერდება უფლებამოსილება.

87. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ეს გადაწყვეტილება საქმის მხარემ შეიძლება მისი ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. ამ ვადის აღდგენა ან გაგრძელება დაუშვებელია.

88. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ მოსამართლის მიერ საპატიო მიზეზით გასაჩივრების ვადის გაშვების შემთხვევაში, სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის მიზნიდან გამომდინარე, გამონაკლისის წესით, მისთვის უნდა არსებობდეს გასაჩივრების ვადის აღდგენის ან გაგრძელების შესაძლებლობა.

89. მოპასუხის განმარტებით, გასაჩივრების 10-დღიანი ვადა და ამ ვადის გაგრძელების დაუშვებლობა მომდინარეობს უშუალოდ სამართალწარმოების სპეციფიკიდან. მსგავსი ტიპის სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელია გასაჩივრების ვადების ამ მოცულობითა და ფორმით განსაზღვრა და იგი საერთო პრაქტიკიდან რაიმე გადახვევას არ წარმოადგენს. მოპასუხის განმარტებით,



მსგავსი ტიპის დავები მნიშვნელოვანია, რომ დროულად გადაწყდეს, რათა არ დაზიანდეს ის დიდი ლეგიტიმური მიზანი, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით არის განსაზღვრული. თავის მხრივ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილებას უკავშირებს შემთხვევას, როდესაც ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე გამოვლინდება, რომ შესაბამის თანამდებობაზე მოსამართლის დარჩენით ხელი შეეშლება შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოებას.

90. სისხლის სამართლის საქმის წარმოება სახელმწიფოს ექსკლუზიურ კომპეტენციას და მნიშვნელოვან საჯარო ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს კონკრეტული თანამდებობის პირების, მათ შორის, მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერებას, მათი მხრიდან სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე ზეგავლენის მოხდენის ან სხვა რაიმე ტიპის ხელშეშლის საფრთხის არსებობის შემთხვევაში. ამავდროულად, ამ საფრთხის დადასტურების პირობებში, ცხადია, რაც უფრო მალე მოხდება მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერება, მით უფრო დროულად აღმოიფხვრება საფრთხე და მიიღწევა დასახელებული ლეგიტიმური მიზანი.

91. აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმა თავად არ ადგენს, მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოშორების თაობაზე, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტს, თუმცა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი აკეთებს მითითებას იმაზე, რომ საკითხის განხილვისას სადისციპლინო კოლეგია მოქმედებს ამ კანონით სადისციპლინო კოლეგიის მოქმედებისთვის განსაზღვრული საერთო წესით.

92. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁶⁹ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რომელიც შეეხება დისციპლინურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესს, დადგენილია, რომ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

93. ამ პირობებში, სადავო ნორმა, რომელიც არ იძლევა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის აღდგენის ან გაგრძელების შესაძლებლობას, ნამდვილად წარმოადგენს დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ და ყველაზე ეფექტიან საშუალებას, ვინაიდან ამ ვადის აღდგენის ან გაგრძელების შემთხვევაში, თავისთავად გაჩნდებოდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის გადავადების რისკებიც. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს.

94. რამდენადაც სადავო ნორმა აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის გამოსადეგობისა და აუცილებლობის მოთხოვნებს, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენადაა დაცული ვიწრო გაგებით პროპორციულობის მოთხოვნა, რაც გულისხმობს სამართლიანი ბალანსის დადგენას შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის.

95. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს სასარჩელო მოთხოვნაზე. კერძოდ, მოსარჩელე მხარე გასაჩივრების ვადის აღდგენას/გაგრძელებას ითხოვს მხოლოდ გამონაკლისის სახით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლის მიერ გასაჩივრების 10-დღიანი ვადის გამოუყენებლობა განპირობებული იქნება განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით ან/და საპატიო მიზეზით.

96. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს მოსამართლის საქმიანობის განხორციელების უფლებაში ინტენსიურ ჩარევას. კერძოდ, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მას არა კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, არამედ ზოგადად, უჩერდება უფლებამოსილება შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოების საბოლოო დასრულებამდე. გარდა უშუალოდ უფლებამოსილების შეჩერებისა, მოსამართლეს შესაძლოა მიაღწეს მნიშვნელოვანი რეპუტაციული ზიანი.



97. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის №3/15/1700 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). შესაბამისად, გასაჩივრების მექანიზმის გამოყენებას მოსამართლის სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისთვის აქვს განსაკუთრებული დატვირთვა. სწორედ ამ მექანიზმის არსებობა იძლევა მოსამართლისათვის იმის გარანტიას, რომ მისი საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილება არ მოხდება ამ საკითხის სასამართლოს მიერ შეფასების გარეშე (განსხვავებით სადისციპლინო კოლეგიისაგან, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც კომპლექტდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისგან – იხ., „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 და მე-19 მუხლები).

98. სადავო ნორმის პროპორციულობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, აგრეთვე გასაჩივრების ვადის ხანგრძლივობა. მარტივად წარმოსადგენია იმის დაშვება, რომ ავადმყოფობის ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზის არსებობის გამო, მოსამართლემ 10 სამუშაო დღის ვადაში ობიექტურად ვერ შეძლოს გასაჩივრების უფლების გამოყენება.

99. ასევე ხაზგასასმელია მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი და შედეგი. კერძოდ, მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ვარაუდის მაღალი ხარისხით, შესაბამის თანამდებობაზე მოსამართლის დარჩენით ხელი შეეშლება შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოებას. მართალია, ეს მექანიზმი ემსახურება ლეგიტიმური საჯარო მიზნის მიღწევას, თუმცა, ყველა სისხლის სამართლის საქმე, რომლის წარმოებასაც მოსამართლის თანამდებობაზე დატოვებით შეიძლება ხელი შეეშალოს, განსახილველი სამართალურთიერთობის კუთხით, არ არის თანაბარი მნიშვნელობის. ამავდროულად, გასათვალისწინებელია იმ მესამე პირთა ინტერესებიც, რომელთა საქმეებზეც ხდება მოსამართლის ჩამოშორება, ამ საქმეებსა და მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას შორის კავშირის არსებობა/არარსებობის მიუხედავად. ცალკე აღებული ეს გარემოებაც ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ამ საკითხის უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ განხილვა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საკითხის გასაჩივრების მიმართ მომეტებულ ინტერესს.

100. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს მოპასუხის მიერ დასახელებულ საჯარო ლეგიტიმურ მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად გასაჩივრების დადგენილი ვადის და მისი გაგრძელების დაუშვებლობის მნიშვნელობას, თუმცა მიიჩნევს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების 10-დღიანი გასაჩივრების ვადის აღდგენის/გაგრძელების ბლანკეტური აკრძალვა, რომელიც ვრცელდება, მათ შორის, მოსამართლის მიერ ამ ვადის საპატიო მიზეზით გაშვების შემთხვევებზე, არ ადგენს სამართლიან ბალანსს შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის.

101. ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

3.4. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა

102. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გასაჩივრების შემთხვევაში, საჩივარი შესაძლებელია განხილული იქნეს ზეპირი მოსმენით, თუ, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, ეს ხელს შეუწყობს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას.

103. მოსარჩელე მხარის განმარტებით, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში უწევს როგორც ფორმალურ-სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევა. მოსამართლემ, რომლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების საკითხიც განიხილება, პალატას უნდა დაუსაბუთოს, თუ რატომ არ შეეშლება ხელი შესაბამისი სისხლის



სამართლის საქმის განხილვას მისი თანამდებობაზე დატოვების შემთხვევაში, რაც წარმოუდგენელია ფაქტობრივ გარემოებებზე მსჯელობის გარეშე. შესაბამისად, აუცილებელია, რომ საჩივრის განხილვა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ზეპირი მოსმენით მიმდინარეობდეს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს სადისციპლინო პალატა, არამედ მაშინაც, როდესაც მოსამართლე დააყენებს შუამდგომლობას, საჩივრის ზეპირად განხილვის თაობაზე.

104. მოპასუხის განმარტებით, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში საჩივრის განხილვამდე, კონკრეტული საქმისა და მის ირგვლივ არსებული გარემოებების შეფასება და დადგენა ხდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის, თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ. შესაბამისად, საჩივრის განხილვისას უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა აფასებს მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივ გარემოებებსა და მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას, რაც არ საჭიროებს საქმის ზეპირი მოსმენის ფორმატში განხილვას. მიუხედავად ამისა, გამონაკლისი შემთხვევებისთვის, საქმის ყოველმხრივ შესწავლის მიზნით, პალატას აქვს უფლებამოსილება განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენით.

105. სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის ლეგიტიმურ მიზნად, როგორც წესი, სახელდება პროცესის ეკონომიურობა და მართლმსაჯულების გადატვირთულობის თავიდან აცილება (იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27-29).

106. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი პრაქტიკა აქვს დამკვიდრებული საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვასთან დაკავშირებით. ამ პრაქტიკის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისას, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა კრიტიკულად აუცილებელი ხდება, თუ საქმის გადაწყვეტა საჭიროებს ფაქტების გამოკვლევასა და სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენას. სწორედ განსახილველი საქმის ბუნება, სამართალწარმოების შინაარსი, ის, თუ როგორია ამა თუ იმ საკითხის განმხილველი სასამართლოს კომპეტენცია, კერძოდ კი, თვისობრივად რა საკითხების შესწავლა/შეფასება/გამოკვლევა უწევს მას, წარმოადგენს იმ კრიტერიუმს/სტანდარტს, რომლის საფუძველზეც საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 11 აპრილის №2/3/1421,1448,1451 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს იხტიოსი“, ზაზა პატარიძე, ნიკოლოზ ბერიაშვილი, შალვა ონიანი, ვახტანგ კობეშაძიძე და მანანა ხარხელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-64; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-74).

107. დასახელებული სტანდარტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მხრიდან მოითხოვს ფაქტების გამოკვლევასა და დადგენას და, ამასთან ერთად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, რის გამოც განსაკუთრებით დიდია ამ პირის მხრიდან საკითხის ზეპირი მოსმენის გზით განხილვის ინტერესი, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნაა, რომ დაინტერესებული პირის სურვილის შემთხვევაში, კანონმდებლობა უზრუნველყოფდეს საკითხის განხილვას ზეპირი მოსმენის გამართვის გზით.

108. როგორც უკვე აღინიშნა, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, არის ერთადერთი მართლმსაჯულების ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების თაობაზე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველით. შესაბამისად, იგი არის ერთადერთი სასამართლო, სადაც მოსამართლეს შეუძლია მისი საქმის ირგვლივ არსებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებებისა და ამ გარემოებების შესახებ საკუთარი პოზიციის წარდგენა, რაც დამატებით უსვამს ხაზს საქმეზე ზეპირი მოსმენის ჩატარების დიდ მნიშვნელობას.

109. აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა საჩივარს იხილავს ამ კანონით დადგენილი საერთო წესით. სადისციპლინო პალატის მიერ საჩივრის განხილვის ფარგლებსა და საქმიანობის პრინციპებს ადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული



კანონის 75⁵⁹ მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

110. შესაბამისად, ნათელია, რომ უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, საჩივრის განხილვისას არ მოქმედებს როგორც საკასაციო პალატა, რომელიც, ძირითადად, მხოლოდ სამართლებრივი საკითხების შემოწმებით არის დაკავებული, პირიქით, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას როგორც ობიექტური მოცემულობა, ისე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ავალდებულებს საჩივრის ფაქტობრივი თვალსაზრისით შემოწმებას.

111. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაყენებულია მოსამართლის პოზიციიდან, რომელიც ასაჩივრებს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის მიერ მისთვის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

112. საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დაადგინა მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებით როგორც მოსამართლის კერძო, ისე საჯარო ინტერესების ინტენსიური შეზღუდვის საფრთხე, რაც განაპირობებს საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვის მომეტებულ ინტერესს.

113. როგორც აღინიშნა, იმ შემთხვევაში, თუ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მხრიდან მოითხოვს ფაქტების გამოკვლევასა და დადგენას და, ამასთან ერთად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, რის გამოც განსაკუთრებით დიდია ამ პირის მხრიდან საკითხის ზეპირი მოსმენის გზით განხილვის ინტერესი, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნაა, რომ დაინტერესებული პირის სურვილის შემთხვევაში, კანონმდებლობა უზრუნველყოფდეს საკითხის განხილვას ზეპირი მოსმენის გამართვის გზით.

114. სადავო ნორმა ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ადგილი აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, რის გამოც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მოსამართლის სურვილის შემთხვევაში, არ უშვებს საჩივრის ზეპირი მოსმენის გამართვის გზით განხილვის შესაძლებლობას, არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

3.5. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა და გადაწყვეტა მოსამართლის დაუსწრებლად

115. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-3 წინადადების თანახმად, საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვაზე საქმის მხარის გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას.

116. მოსარჩელე მხარეს არაკონსტიტუციურად მიაჩნია მოსამართლის გარეშე საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა და გადაწყვეტა, როდესაც მოსამართლის გამოუცხადებლობა გამოწვეულია საპატიო მიზეზით. სადავო ნორმა ასეთ გამონაკლისებს არ ითვალისწინებს და ადგენს ბლანკეტურ წესს მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვის გაგრძელებისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

117. აღსანიშნავია, რომ დასახელებული საპროცესო წესის დამდგენი ნორმაც იმ პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის ცალკეული ასპექტების კონსტიტუციურობა უკვე განიხილა საკონსტიტუციო სასამართლომ (იხ., წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 3.3 და 3.4 ქვეთავები). სადავო ნორმა ემსახურება იმავე ლეგიტიმურ მიზნებს და იწვევს იმავე ინტერესთა შეზღუდვას, რომელთა შეპირისპირებაც უკვე მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წინა პარაგრაფებში. ამასთანავე, სადავო ნორმასთან მიმართებით, არც მოპასუხე მხარეს წარმოუდგენია რაიმე განსხვავებული არგუმენტაცია, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს დაანახებდა საკითხის დამატებითი შეფასების საჭიროებას.

118. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის ბლანკეტური ხასიათიდან გამომდინარე, კერძოდ კი იმის გამო, რომ იგი



არ ითვალისწინებს ინტერესთა აწონ-დაწონვისა და საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გადადების შესაძლებლობას, მაშინაც კი, როდესაც მოსამართლის სხდომაზე გამოუცხადებლობა ობიექტური შეუძლებლობით/საპატიო მიზეზით არის განპირობებული, სადავო ნორმით დადგენილი წესი ვერ იქნება თავსებადი სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.

119. ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-3 წინადადება არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

4. მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის პირობებში

120. მოსარჩელე მხარე ითხოვს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ, მე-2 და მე-5 პუნქტებთან მიმართებით.

4.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტებით დაცული სფეროები

121. საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულია ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება, ხოლო მე-5 პუნქტი ადგენს დასახელებული უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურ საფუძვლებს.

122. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტს, მისი განვითარებისა და თითოეული ადამიანის თვითრეალიზაციის არსებით პირობას წარმოადგენს. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება ადამიანის არსებობის თანმდევი, განუყოფელი ელემენტია (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

123. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს ... დემოკრატიული პროცესის მამოძრავებელია ის ძალა, სულიერი გავლენა, რომელიც აზრისათვის არის დამახასიათებელი. კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-13).

124. ამასთანავე, „საზოგადოებაში, სადაც აზრის თავისუფლება აღიარებულია და დაცულია კონსტიტუციით, ასევე დაცულია ინფორმაციის თავისუფლებაც. ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებული იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10).

125. საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციის შესაბამისად, პოლიტიკის სფეროში, მაშასადამე, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გავრცელება განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს. პოლიტიკურ თემებზე აზრთა თავისუფალი ურთიერთგაცვლა უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის. სწორედ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი ურთიერთგაცვლის მეშვეობით



ხორციელდება თავისუფალი პოლიტიკური დებატები ხალხისა და პოლიტიკოსების ჩართულობით, რაც დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციის ქვაკუთხედს წარმოადგენს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 6 ივნისის №1/2/1753 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

126. ამასთან, აუცილებელია, რომ განსახილველი საკითხიდან გამომდინარე, აქცენტი გაკეთდეს მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის ფარგლებზე. ზოგადად, ყველა ადამიანის მსგავსად, ცხადია, რომ მოსამართლეს სარგებლობს გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა, ბუნებრივია ისიც, რომ მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები არ არის ისეთივე ფართო, როგორც რიგითი მოქალაქის. ეს ნაკარნახევია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების, ისევე, როგორც სასამართლოს ავტორიტეტისა და საზოგადოების მხრიდან ამ ინსტიტუციისადმი ნდობის შენარჩუნების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებით. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლის როლიდან გამომდინარე, მას ეკისრება პასუხისმგებლობა გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობისას, როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე ფორმისა და მანერის კუთხით, იყოს ფრთხილი და წინდახედული, მოქმედებდეს იმ შეგნებით, რომ მისი ნათქვამი შესაძლოა აღქმული იქნეს სასამართლოს პოზიციად და მაქსიმალურად შეიკავოს თავი ისეთი განცხადებების გაკეთებისაგან, რომლებმაც შესაძლოა ჩრდილი მიაყენოს სასამართლოს დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და ავტორიტეტს.

127. ბუნებრივია, მოსამართლის თანამდებობისთვის დამახასიათებელი გამოხატვის თავისუფლების ფარგლების იმანენტური შეზღუდვა ვრცელდება მოსამართლის პოლიტიკურ გამოხატვაზეც. თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს კონსენსუსი მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის ფარგლებთან მიმართებით, შესაბამისად, ყოველი ქვეყნის კანონმდებელს აქვს შედარებით ფართო მიხედულების ზღვარი, ამ საკითხის მოწესრიგების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს აქტიურ პოლიტიკურ გამოხატვასთან. ამავდროულად, ცივილიზებულ მსოფლიოში მოსამართლის, როგორც მართლმსაჯულების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების აქტიური დამცველის როლი სულ უფრო და უფრო იზრდება, რაც ასახვას ჰპოვებს ამ საკითხებთან მიმართებით მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლების ზრდაში, მაშინაც კი, თუ საკითხი შეიცავს გარკვეულ პოლიტიკურ ელემენტებს. აღნიშნულის მიღმა, ბუნებრივია, მოსამართლეს აბსოლუტურად ვერ აეკრძალება საუბარი ყველა იმ თემაზე, რომელიც რაიმე ფორმით, თუნდაც ირიბად უკავშირდება პოლიტიკას. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების ფარგლები ზღვარდადებული უნდა იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და საზოგადოების თვალში მისი მაღალი ავტორიტეტის/სასამართლოსადმი ნდობის შენარჩუნების მიზნებით. ცხადია, რომ პოლიტიკის მრავალფეროვანი განმარტებიდან და ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე, ყველა ტიპის, ფორმისა და შინაარსის გამოხატვა, რომელიც ამ თემას რამენაირად უკავშირდება, ვერ იქნება დასახელებული ლეგიტიმური მიზნებისთვის საფრთხის შემცველი. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია კანონმდებლისგან მოითხოვს მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვა იმგვარად დაარეგულიროს, რომ, ერთი მხრივ, უზრუნველყოს ზემოთ ნახსენები ლეგიტიმური მიზნების განმტკიცება, ხოლო, მეორე მხრივ, მოსამართლე არ აქციოს მდუმარე მსაჯულად.

4.2. შესაფასებელი მოცემულობისა და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

128. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის აშკარა დარღვევით აზრის საჯაროდ გამოთქმა. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის აშკარა დარღვევად არ მიიჩნევა სასამართლო რეფორმის შესახებ, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების თაობაზე ან/და სამართლის განვითარების სხვა საკითხზე მოსამართლის მეცნიერული ან/და ანალიტიკური მსჯელობა.

129. აშკარაა, რომ სადავო ნორმა მიმართულია მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების ფარგლების დადგენისაკენ და ახდენს მისი გამოხატვის თავისუფლების რეგულირებას. კერძოდ, სადავო ნორმა დისციპლინურ გადაცდომად აცხადებს მოსამართლის ქმედებას, რომელიც აშკარად არღვევს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს. დისციპლინური გადაცდომისთვის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულია შესაბამისი დისციპლინური სახდელი.



130. საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტი მოსამართლეს *expressis verbis* უკრძალავს პოლიტიკური პარტიის წევრობას და პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებას. მოსამართლის მიერ პოლიტიკური შინაარსის შემცველი აზრის საჯაროდ დაფიქსირება საქართველოს კონსტიტუციით ექსპლიციტურად აკრძალული არ არის. საქართველოს კონსტიტუცია იცავს მოსამართლის გამოხატვას, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს პოლიტიკის სფეროს, იმ დათქმით, რომ გამოხატული აზრი და გამოხატვის ფორმა არ გააჩენს ლეგიტიმურ ექვემდებარებას მოსამართლის/სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ, არ დააზარალებს მის ავტორიტეტს და მართლმსაჯულების ინსტიტუტებისადმი საზოგადოების ნდობას. შესაბამისად, სადავო ნორმა, რომელიც დისციპლინურ გადაცდომად აცხადებს მოსამართლის მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით აზრის საჯაროდ გამოხატვას, ზღუდავს მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას და საჭიროებს გადამოწმებას საქართველოს კონსტიტუციის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებთან მიმართებით.

131. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მხარე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს ორი მიმართულებით. პირველ რიგში, მოსარჩელეები აპელირებენ სადავო ნორმის განუსაზღვრელობაზე. მოსარჩელე მხარის განცხადებით, „პოლიტიკა“ იმდენად ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა, რომ მასში შეიძლება მოიაზრებოდეს ნებისმიერი საკითხი, რაც ადამიანის ყოფა-ცხოვრებას უკავშირდება და საზოგადოებრივი დისკუსიის საგანს წარმოადგენს. სადავო ნორმისა და მომიჯნავე კანონმდებლობის ანალიზის შედეგად კი, შეუძლებელია იმის დადგენა, რა ჩათვლება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევად და რისი საჯაროდ გამოხატვის უფლება რჩება მოსამართლეს, როგორ უნდა ისარგებლოს მან გამოხატვის თავისუფლებით ისე, რომ არ დაარღვიოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო რეგულაცია ვერ პასუხობს კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებს. იგი სამართალშემფარდებლობისთვის არ ადგენს რაიმე სახელმძღვანელო კრიტერიუმებს, რითაც იგი შეძლებდა მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ დაფიქსირებით პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევის შემთხვევების გამოვლენას და მათ გარჩევას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით გამოთქმული აზრებისაგან. შედეგად, მოსამართლის მიერ საჯაროდ გამოხატული აზრის დისციპლინურ გადაცდომად დაკვალიფიცირება მთლიანად სამართალშემფარდებლობის მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის სუბიექტურ აღქმაზე ხდება დამოკიდებული. ამ პირობებში, შეზღუდვის ადრესატისათვის სრულიად გაუგებარია, რისი უფლება აქვს მას და რა ეკრძალება სადავო ნორმის ფარგლებში. შედეგად, მოსამართლის გამოხატვის თავისუფლება ექცევა სადავო ნორმის „მსუსხავი ეფექტის“ მოქმედების ქვეშ და იძულებულია სრულიად შეიზღუდოს თავი ისეთ თემებზე საჯაროდ საუბრისაგან, რომელიც რაიმე ფორმით შეიძლება უკავშირდებოდეს პოლიტიკას, რაც, ფაქტობრივად, მას აქცევს მდუმარე მსაჯულად.

132. გარდა განჭვრეტადობისა, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა იმაზე მეტად ზღუდავს მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის ფარგლებს, ვიდრე ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა ვერ პასუხობს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს და არაპროპორციულად ერევა მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებაში.

133. ვინაიდან, სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე მოსარჩელე მხარე დავობს ორი მიმართულებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, იმსჯელებს ნორმის განჭვრეტადობაზე, ხოლო, ამ კომპონენტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეაფასებს, რამდენად თანაზომიერია სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა.

4.3. სადავო ნორმის განჭვრეტადობა

134. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ „კანონის“ შესაბამისად. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი კანონმდებლობაში ხელმისაწვდომი ფორმით უნდა იყოს ასახული. კანონი, რომლითაც ხდება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებს. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის გამართლებულობის შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, განხორციელდა თუ არა ჩარევა განჭვრეტადი კანონმდებლობის საფუძველზე. შეზღუდვა „კანონით გათვალისწინებულად“ ვერ ჩათვლება იმგვარ შემთხვევაში, როდესაც ჩარევა, მართალია, კანონს ეფუძნებოდა, მაგრამ ეს კანონი არ იყო საკმარისად განჭვრეტადი (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 6 ივნისის №1/2/1753 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30).



135. გამოხატვის თავისუფლების განჭვრეტადი კანონმდებლობით შეზღუდვის მოთხოვნა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავად ამ უფლების განხორციელებაზე „მსუსხავი ეფექტის“ არსებობის რისკებთან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, პირი „მსუსხავი ეფექტის“ განიცდის იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოსალოდნელი პასუხისმგებლობის/საჩივრის შიშით, იძულებულია, თავი შეიკავოს უფლების სრულყოფილად განხორციელებისაგან და თვითშეზღუდვა აისახება გამოხატვის თავისუფლების ნორმატიულად შეუზღუდავ ნაწილზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მსუსხავი ეფექტის“ გავლენით ნორმის ზემოქმედება გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე შესაძლებელია გასცდეს მისი რეგულირების სფეროს და ფაქტობრივად შეზღუდოს ის ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგებაც კანონმდებლის მიზანს არც კი წარმოადგენდა. გამოხატვის თავისუფლების სფეროს ამგვარად რეგულირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საზოგადოების გაუმართლებელი ჩაკეტვა, მისი მოქმედების თავისუფლების თვითშეზღუდვა, აიძულოს ადამიანები, მოახდინონ თვითცენზურა გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს იმ ნაწილში, რომლის შეზღუდვის აუცილებლობაც არ არსებობს, რაც, თავისთავად, ამ უფლების არათანაზომიერად შეზღუდვის ტოლფასია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 8). გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში, კანონის განსაზღვრულობის საჭიროებას ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ სადავო ნორმის დარღვევა იწვევს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემას და მისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებას.

136. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ კანონის ხარისხობრივი მოთხოვნების დაცვა კანონმდებელს ყოველთვის თანაბარი სიმკაცრით ვერ მოეთხოვება. ის, თუ როგორი სიზუსტითა და ინდივიდუალიზაციის რა მასშტაბით უნდა მოხდეს უფლების მზღუდავი ნორმის შემუშავება, დამოკიდებულია, ამ ნორმით დასარეგულირებელი სამართალურთიერთობის შინაარსზე, მასშტაბსა და ხასიათზე, აგრეთვე ნორმის ადრესატთა რაოდენობასა და სტატუსზე. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ობიექტურად ვერ მოხერხდეს და არც იყოს გამართლებული, კანონის მაქსიმალურად დეტალიზებული, ხისტი განსაზღვრება.

137. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებთან მიმართებით დაადგინა, რომ ამ სფეროში „კანონმდებლისთვის მაქსიმალურად დეტალიზებული, ხისტი მოწესრიგების შემოღების ვალდებულების დადგენა შეიცავს ამა თუ იმ საზოგადოებრივად საშიში ქმედების დაუსჯელად დატოვების საფრთხეს. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელს არ ექნება შესაძლებლობა, ესა თუ ის სამართლებრივი სიკეთე დაიცვას ზოგადი აკრძალვების დაწესებით, ყოველთვის იარსებებს საფრთხე, რომ ინდივიდები მოძებნიან გზას ხსენებული სამართლებრივი სიკეთის კანონით აუკრძალავი ფორმით დასაზიანებლად... აღნიშნულიდან გამომდინარე, არარეალისტური იქნება, კანონმდებელს მოეთხოვოს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების კონკრეტიზაციის ძალიან მაღალი ხარისხით ჩამოყალიბება. დასაშვებია, პასუხისმგებლობის დამდგენი ისეთი ზოგადი საკანონმდებლო ნორმის მიღება, რომელიც გონივრულობის ფარგლებში ექვემდებარება განმარტებას და, ამ გზით, უზრუნველყოფს მისი მოქმედების სფეროში მოქცეული დაცული სიკეთის ხელყოფის ყველა შესაძლო შემთხვევის დასჯადობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12).

138. მოცემულ შემთხვევაში, აშკარაა, რომ სადავო ნორმის რეგულირების საგანს წარმოადგენს პოლიტიკური აზრის გამოხატვა, ანუ, გამოხატვის ის სეგმენტი, რომელიც, შესაძლოა, დაუკავშირდეს ურთიერთობათა ფართო/განუსაზღვრელ სპექტრს. პოლიტიკა იმდენად ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი განმარტების მქონე ცნებაა, რომ მან შეიძლება დაფაროს ადამიანის ცხოვრების ნებისმიერი სფერო. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკულად, შეუძლებელია, წინასწარ ყველა იმ შემთხვევის განსაზღვრა, როდესაც პირის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა ჩაითვლება პოლიტიკურ გამოხატვად და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის აშკარა დარღვევად, ვინაიდან, ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ გამოხატული აზრის შინაარსზე, არამედ გამოხატვის ფორმაზე, კონტექსტზე, გამოხატვის მომენტში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და მრავალ სხვა ცვლადზე, რომლებიც განსხვავებულ სიტუაციაში, სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს აღქმული და განმარტებული.

139. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების ზოგადი, ფართო შინაარსის მქონე



ტერმინებით რეგულირება, თავისთავად ნორმის განჭვრეტადობის პრობლემას არ წარმოშობს.

140. ამასთანავე, მოსამართლის თანამდებობისთვის იმანანტურია პოლიტიკური გამოხატვის გარკვეული დოზით შეზღუდვა და ეს მოცემულობა უცხო არ არის თავად მოსამართლეებისათვის. ამა თუ იმ ფორმით, მათ შორის, აზრის საჯაროდ დაფიქსირებით, მოსამართლის პოლიტიკასთან აფილირება, შესაძლოა, შეიცავდეს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დარღვევის ან/და საზოგადოების აღქმაში სასამართლოს ავტორიტეტის/მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფრთხეს. ამავდროულად, როგორც აღინიშნა, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, რა დოზით ან როგორი ფორმულირებით უნდა მოხდეს მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების ფარგლების რეგულირება. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს ამ კუთხით აქვს შედარებით ფართო მიხედულების ფარგლები.

141. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმით აკრძალულია მოსამართლის მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის აშკარა დარღვევით აზრის საჯაროდ გამოთქმა. გამონაკლისს წარმოადგენს, სასამართლო რეფორმის შესახებ, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების თაობაზე ან/და სამართლის განვითარების სხვა საკითხზე მოსამართლის მეცნიერული ან/და ანალიტიკური მსჯელობა.

142. ცხადია, „პოლიტიკური ნეიტრალიტეტი“ ფართო და ზოგადი შინაარსის მქონე ტერმინია. ასევე აშკარაა და ამას არც უშუალოდ მოპასუხე მხარე უარყოფს, რომ კანონმდებლობაში არ არსებობს იმის ზუსტი ფორმულირება, კონკრეტულად რა შემთხვევები იგულისხმება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის აშკარა დარღვევით აზრის საჯაროდ გამოხატვაში. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს თავისთავად სადავო ნორმას, მისი რეგულირების საგნისა და სფეროს გათვალისწინებით, განუჭვრეტლად ვერ აქცევს. სადავო ნორმის განსაზღვრულობის დასადგენად, მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა, გონივრული წაკითხვის პირობებში, ამ ნორმის ადრესატებსა და სამართალშემფარდებელს შეეძლებათ თუ არა კანონმდებლის მიერ მასში ჩადებული შინაარსის ამოკითხვა და მისი რეალური ფარგლების დადგენა.

143. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს მოსამართლის მხრიდან აზრის საჯაროდ დაფიქსირებამ ნებისმიერ ეროვნულ თუ საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხზე, რომელიც რაიმე ფორმით, პირდაპირ თუ ირიბად, უკავშირდება პოლიტიკას, პოლიტიკური დისკუსიის საგანს. ამავდროულად, რეგულირების საგნის ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე, ობიექტურად შეუძლებელია, წინასწარ ზედმიწევნით ზუსტად განისაზღვროს, რა იგულისხმება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევაში, თუმცა, სადავო ნორმის მოქმედების ფარგლების განსაზღვრისთვის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. იმისათვის, რომ არსებობდეს სადავო ნორმით აკრძალული ქმედება, მოსამართლის მიერ საჯაროდ გამოთქმული მოსაზრება, ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან, უნდა შეიცავდეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ან ინტერესთა ჯგუფის მკვეთრ და აშკარა მხარდამჭერ განცხადებას ან კრიტიკას, ან/და ასეთად უნდა აღიქმებოდეს საზოგადოების თვალში. გარდა ამისა, მსგავსი ტიპის საჯაროდ გამოხატული აზრი გავლენას უნდა ახდენდეს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და ავტორიტეტზე. აღნიშნულის პარალელურად, მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ სადავო ნორმის მიზანი არ არის მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის სრული აკრძალვა, რაზეც მიაწინებს თავად ნორმის ფორმულირება, რომელიც კრძალავს მხოლოდ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის აშკარა დარღვევით აზრის საჯაროდ დაფიქსირებას. შესაბამისად, მოსამართლეს არ ეზღუდება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით აზრის საჯაროდ გამოხატვა, ისევე როგორც აზრის საჯაროდ გამოხატვა, რომელიც შესაძლოა შეიცავდეს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევის ნიშნებს, თუმცა მისი მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხარისხობრივად არ აღწევდეს ამ პრინციპის აშკარად დარღვევის ნიშნულს. მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის დასაშვები ფარგლების განსაზღვრას ხელს უწყობს, აგრეთვე, სადავო ნორმის დათქმა, რომლის თანახმად, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის აშკარა დარღვევად არ მიიჩნევა სასამართლო რეფორმის შესახებ, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების თაობაზე ან/და სამართლის განვითარების სხვა საკითხზე მოსამართლის მეცნიერული ან/და ანალიტიკური მსჯელობა.

144. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის პოზიციის თანახმად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი სადავო ნორმის შემოღებამდეც ზღუდავდა მოსამართლის პოლიტიკურ გამოხატვას, მათ შორის, ზოგადი ტერმინებით, თუმცა, ამ მოცემულობას,



დღემდე პრაქტიკული პრობლემა არ წარმოუშვია. მაგალითად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტით, მოსამართლეს აკრძალული აქვს „პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვა“, რაც ასევე ზოგადი ჩანაწერია, თუმცა მსგავსი ზოგადი ტერმინებით გაჯერებული აკრძალვები, ნაკარნახევა დასარეგულირებელი სფეროს სპეციფიკით და მისგან მომდინარე ობიექტური აუცილებლობით. გარდა ამისა, სადავო ნორმის შემოღებამდე, დისციპლინურ გადაცდომად იყო მიჩნეული სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა, სადაც ასევე მრავლად არის მითითება მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის ისეთ შეზღუდვაზე, რომელიც მიმართულია მისი მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევის პრევენციისაკენ. შესაბამისად, საბჭოს წარმომადგენლის პოზიციით, სადავო ნორმას, მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის რეგულირების თვალსაზრისით, რაიმე ბუნდოვანება არ შემოუტანია და მოსამართლეებისათვის, ისევე როგორც სამართალშემფარდებლისათვის, დამატებითი თავსატეხი არ გაუჩენია. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სადავო ნორმის შინაარსის განმარტებისას, დაეყრდნობა რელევანტურ კანონმდებლობასა და სამოსამართლო ეთიკის წესებს, რომლის ლეგიტიმაციაც თავად მოსამართლეების მიერ არის უზრუნველყოფილი.

145. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დადგენა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ექვემდებარება მრავალეტაპიან პროცედურას ისეთი კვალიფიციური და მაღალი ლეგიტიმაციის მქონე კონსტიტუციური ორგანოს მხრიდან, როგორც არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13¹ თავის შესაბამისად, ამ პროცესში ჩართულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი, რომელიც მოქმედებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, უშუალოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგია. გარდა ამისა, მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში და, ამ გზით, კიდევ ერთხელ მოითხოვოს მისი გადამოწმება.

146. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კანონმდებლის ფართო მიხედულების ფარგლებს, მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის დარეგულირების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ისეთი გამოხატვის ნაწილში, რომელიც მიანიშნებს მოსამართლის პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურ ჩართულობაზე ან/და რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ ინტერესთა ჯგუფის მხარდაჭერაზე. იგი მხედველობაში იღებს იმ სამართლებრივ ურთიერთობათა სიმრავლეს, მასშტაბსა და განსხვავებულობას, რომლის დაფარვასაც ისახავს მიზნად სადავო ნორმა. აგრეთვე, ითვალისწინებს სადავო ნორმის ადრესატთა წრეს, მათ იმანენტურ თვითშეზღუდვას და ინსტიტუციურ გამოცდილებას პოლიტიკური გამოხატვის შემცველი ქმედების რეგულირების თვალსაზრისით. მიუთითებს სადავო ნორმის საფუძველზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საჭირო პროცედურაზე, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმსა და იმ ორგანოების დამოუკიდებლობისა და ლეგიტიმაციის ხარისხზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სადავო ნორმის განმარტებაზე და მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელზეც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ყურადღება გამახვილა მოპასუხე მხარემ, უშუალოდ სადავო ნორმისა და რელევანტური სამართლებრივი სივრცის სისტემური გააზრების პირობებში, საკმარისად ამოკითხვადია ამ ნორმის არსებული ფორმულირებიდან.

147. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ სადავო ნორმას რეალურად პრაქტიკაში არ უმოქმედია და შესაბამისად, მისი მოპასუხის მიერ იდენტიფიცირებული შინაარსისგან განსხვავებული შინაარსით წაკითხვის პრეცედენტი, გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის, არ ყოფილა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ გასაჩივრებული რეგულაცია აკმაყოფილებს კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებს და არ იწვევს „მსუსხავ ეფექტს“ მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებაზე.

148. ვინაიდან დადგინდა სადავო ნორმის მიერ განჭვრეტადობისა და კანონის ხარისხობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება, შემდეგ ეტაპზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იდენტიფიცირებული შინაარსით სადავო ნორმის განმარტების პირობებში, რამდენად თანაზომიერად ზღუდავს იგი მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას.



4.4. სადავო ნორმის შესაბამისობა თანაზომიერების პრინციპთან მიმართებით

149. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ თანაზომიერების პრინციპთან მიმართებით, სადავო ნორმის შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენს მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვა ეროვნულ თუ საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხზე, რომელიც რაიმე ფორმით, პირდაპირ თუ ირიბად, უკავშირდება პოლიტიკას/პოლიტიკური დისკუსიის საგანს, ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან, შეიცავს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ან ინტერესთა ჯგუფის მკვეთრ და აშკარა მხარდაჭერას ან კრიტიკას, ან/და ასეთად აღიქმება საზოგადოების თვალში და ამავდროულად, ზიანს აყენებს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და ავტორიტეტს.

4.4.1. ლეგიტიმური მიზანი

150. როგორც არაერთხელ აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპის უპირველესი მოთხოვნაა, რომ გასაჩივრებული საკანონმდებლო ღონისძიება ემსახურებოდეს ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

151. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარემ განმარტა და უშუალოდ სადავო ნორმიდანაც იკითხება, რომ შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს მიუკერძოებლობის პრინციპისა და სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა წარმოადგენს.

152. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს წარმოადგენს და მათ მისაღწევად შესაძლებელია, მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

4.4.2. გამოსადეგობა და აუცილებლობა

153. ამა თუ იმ ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი „დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48). იმავდროულად, „გამოსადეგობასთან ერთად, შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებადმზღუდველ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). საჭიროა, არ არსებობდეს სხვა, ნაკლებად შემზღუდველი საშუალებით, დასახელებული ლეგიტიმური მიზნის იმავე ეფექტიანობით მიღწევის გონივრული შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ ღონისძიება იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ობიექტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის რეალიზაციისათვის, რაც თანაზომიერების პრინციპის საწინააღმდეგოა.

154. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ დაფიქსირება იმ შინაარსით, როგორც განიმარტა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის აშკარა დარღვევა, წარმოშობს საფრთხეს მოსამართლის/სასამართლოს მიკერძოებულობის ან/და საზოგადოების მხრიდან მისი ასეთად აღქმის და შესაბამისად, მის მიმართ ნდობის დაკარგვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, შეზღუდვა, რომელიც კრძალავს მსგავს პოლიტიკურ გამოხატვას, ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

155. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოპასუხის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სადავო ნორმაში გამოყენებული ტერმინების უფრო დეტალურ ფორმულირებას, შესაძლოა დაევიწროებინა ნორმის მოქმედების ფარგლები და რეგულირების მიღმა დაეტოვებინა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის აშკარა დარღვევის ცალკეული შემთხვევები, რის გამოც ასეთი მოწესრიგება ვერ იქნებოდა მიჩნეული დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის მსგავსი ეფექტიანობის მქონე საშუალებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული რეგულაცია, გამოსადეგობასთან



ერთად, აკმაყოფილებს აგრეთვე თანაზომიერების პრინციპის აუცილებლობის კრიტერიუმს.

4.4.3. პროპორციულობა ვიწრო გაგებით

156. ვინაიდან სადავო ნორმა აკმაყოფილებს გამოსადეგობის და აუცილებლობის მოთხოვნებს, უფლებამწიფედველი ნორმატიული წესის კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისად მიჩნევისათვის, საკონსტიტუციო სასამართლომ, აგრეთვე, უნდა გამოარკვიოს, სადავო ნორმით დადგენილი რეგულირების ფარგლებში დაცული ინტერესი, საკუთარი მნიშვნელობით, აღემატება თუ არა შეზღუდულ ინტერესს. ამ ეტაპზე უნდა გაანალიზდეს, რამდენადაა დაცული პროპორციულობა ვიწრო გაგებით (*stricto sensu*), რომლის მოთხოვნაა, რომ „უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43).

157. როგორც უკვე დადგინდა, სადავო ნორმა გარკვეული დოზით ზღუდავს მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებას, კერძოდ, იგი მოსამართლეს უკრძალავს აზრის საჯაროდ დაფიქსირებას პოლიტიკური ნეიტრალ

158. იტეტის პრინციპის აშკარა დარღვევით. მაშასადამე, კანონმდებელი მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების სრულ აკრძალვას არ ახდენს. მოსამართლეს კვლავაც რჩება თავისუფლება, გამოხატოს თავისი შეხედულებები, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება პოლიტიკას, თუ იგი დაიცავს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს ან/და აშკარად არ დაარღვევს მას. ამავდროულად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის ფარგლები კიდევ უფრო იზრდება იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც შეეხება სასამართლო რეფორმის შესახებ, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების თაობაზე ან/და სამართლის განვითარების სხვა საკითხზე მოსამართლის მეცნიერულ ან/და ანალიტიკურ მსჯელობას.

159. შეზღუდვის ვიწრო პროპორციულობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია აგრეთვე იმ ლეგიტიმური მიზნების მნიშვნელობა, რომელთა მიღწევასაც ემსახურება სადავო ნორმა. კერძოდ, მოსამართლის/სასამართლოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა და სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება ის უმნიშვნელოვანესი ლეგიტიმური მიზნებია, რომელთა სათანადო დაცვის გარეშე, შეუძლებელია საუბარი სახელმწიფოში სამართლიანი, ჯეროვანი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

160. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ ერთხელ გაამახვილებს ყურადღებას კანონმდებლის ფართო მიხედულების ფარგლებზე მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის შეზღუდვის თვალსაზრისით, რომელიც ეფუძნება როგორც უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის გაცხადებულ ნებას, რომ მოსამართლე რაიმე ფორმით ან ქმედებით არ მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში, ისე ამ თანამდებობის თავისთავად და იმანენტურ დისტანცირებას პოლიტიკისგან და ამ თემის ირგვლივ დემოკრატიულ საზოგადოებაში კონსენსუსის არარსებობას.

161. შეზღუდულ და დასაცავ სიკეთებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ იმის ხაზგასმა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მრავალეტაპიანი განხილვის საგანს წარმოადგენს. ამ პროცესში, ერთი მხრივ, ჩართულია სხვადასხვა მაღალი ლეგიტიმაციის მქონე დამოუკიდებელი ინსტიტუცია, ხოლო, მეორე მხრივ, თავად მოსამართლე აღჭურვილია სათანადო გარანტიებით, მათ შორის, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით.

162. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა, იმ შინაარსით, რომელიც გამოიკვეთა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, არ არღვევს თანაზომიერების პრინციპის ვიწრო პროპორციულობის მოთხოვნას და იცავს ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესების შეზღუდვას შორის.

163. ამდენად, იგი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ, მე-2 და მე-5 პუნქტებით დადგენილ ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს. ამდენად, არ არსებობს მისი არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი.



III სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, 43-ე, 44-ე და 47-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. კონსტიტუციური სარჩელი №1700 („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის საპატიო მიზეზით გაშვების შემთხვევაში არ უშვებს ამ ვადის აღდგენას ან გაგრძელებას;

ბ) მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მოსამართლის სურვილის შემთხვევაში, თუ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მხრიდან მოითხოვს ფაქტების გამოკვლევასა და დადგენას, რაც ხელს შეუწყობს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას, არ უშვებს საჩივრის ზეპირი მოსმენის გამართვის გზით განხილვის შესაძლებლობას;

გ) მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-3 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვაზე მხარის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, არ აბრკოლებს სასამართლოს მიერ საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას.

2. კონსტიტუციური სარჩელი №1700 („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება:

ა) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „სხვა ობიექტური გარემოების“ და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით;

ბ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

3. კონსტიტუციური სარჩელი №1693 („ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური და თამარ ხაჯომია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) არ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება:

ა) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37¹ მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით;

ბ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებთან მიმართებით.



4. შეწყდეს საქმე №1693 კონსტიტუციურ სარჩელზე („ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური და თამარ ხაჭომია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით.

5. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებისა და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებების არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული შინაარსები ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

6. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

7. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

8. გადაწყვეტილებას დაერთოს მოსამართლეების – გიორგი კვერენჩილაძის და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი.

9. გადაწყვეტილებას დაერთოს მოსამართლე ეკა გოცირიძის თანმხვედრი აზრი.

10. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

11. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

პლენუმის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა

ეკა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

გიორგი კვერენჩილაძე

ხვიჩა კიკილაშვილი

მანანა კობახიძე

ვასილ როინიშვილი

თეიმურაზ ტულუში

